



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
(სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე

წევრები:

თამარ ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053724

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სოფელი
ფაქტობრივი მისამართი	ღურტა
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ghurta@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gurtisskola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	#978407 15.08.2024წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12-13 სექტემბერი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი ღურტა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი იაკობაძეები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი ღურტა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი ღურტა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. სკოლა მდებარეობს მთიან რეგიონში და მდებარეობა გამოირჩევა რთული და დანაწევრებული რელიეფით. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ორ მისამართზე, კერძოდ დაწყებითი საფეხურის პროგრამას (I-IV კლასები) ახორციელებს ორ სხვადასხვა სოფელში - ღურტაში და იაკობაძეებში, რომლებიც ერთმანეთისაგან 4 კმ-თაა დაშორებული. სკოლას ემსახურება ტრანსპორტი. თვითშეფასებაში სკოლას არ ჰქონდა მითითებული მე-2 მისამართი, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა დაწყებითი საფეხურის პროგრამის განხორციელების ორი სხვადასხვა ლოკაცია და მოხდა მისი შესწავლა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ძირითადი ორსართულიანი

შენობა, სადაც განთავსებულია მოსწავლეთა უმეტესობა და სკოლის ადმინისტრაცია, მდებარეობს სოფელ ღურტაში, სოფელ იაკობაძეებში სწავლა ხორციელდება ხის შენობაში. სოფლები ხასიათდება მიგრაციით, თუმცა სოფელ იაკობაძეების დაწყებით სკოლაში მუდმივად ფუნქციონირებს კლას-კომლექტები.

სკოლაში ვიზიტის დღეებში გაიმართა საგნობრივი ექსპერტების ონლაინ-შეხვედრები მასწავლებლებთან საგნობრივი კათედრების მიხედვით. პირველ დღეს საგნობრივმა ექსპერტებმა პედაგოგებისაგან მიიღეს ინფორმაცია კათედრებზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში და ითხოვეს გარკვეული დოკუმენტაციის დამატებით წარმოდგენა და მასალების დაზუსტება. მეორე დღეს შედგა განმეორებითი ონლაინ შეხვედრა ყველა საგნობრივ ექსპერტსა და პედაგოგებს შორის, გაკეთდა ძირითადი მიგნებები და გამოიკვეთა კათედრებს შორის საერთო ტენდენციები და გასაძლიერებელი მხარეები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☐ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის (ყველა პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის შემუშავება) განხორციელება დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 30.12.2024წ.
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობის განხორციელება და შეიმუშავოს ყველა პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი 22.10. 2024წ. – 01.12.2024წ.
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების უზრუნველყოფა (მუსიკის საგანში) დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 15.09.2025წ.
ინდიკატორი 3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება დათქმულ ვადებში 04.11.2024 – 08.11.2024წ.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის განხორციელება დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2026წ. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება სოფელ ღურტის სკოლის შენობაზე. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის განხორციელება დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.



	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.	სოფელ იაკობიძეების მისამართზე: ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება; ბ) უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა; გ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ასევე სოფელ იაკობაძეებში შენობის ირგვლის ღობის უზრუნველყოფა დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 22.10.2025წ.
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სოფელ იაკობაძეების დაწყებითი სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობა დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 22.10.2026წ.
ინდიკატორი 3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვიდეოსამათვალყურეო კამერებზე კონტროლზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; სოფელ იაკობაძეებში (დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობაში) ვიდეოსამათვალყურეო კამერების მონტაჟის უზრუნველყოფა დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 22.10.2025წ.
ინდიკატორი 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სკოლამ უზრუნველყოს სოფელ იაკობაძეებში დაწყებითი სკოლის ხის შენობის წყლით მომარაგების და შესაბამისად სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 22.10.2026წ.
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა	სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილ შენობის (სოფელ ღურტაში) დაზიანებული კიბის უჯრედების, მათ შორის მოაჯირების, განახლების უზრუნველყოფა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ბიბლიოთეკით უსაფრთხოდ სარგებლობის მიზნით დათქმულ ვადებში 20.10.2024 – 22.10.2026წ. .



	და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის, რესურს-ოთახისა და პანდუსის მოწყობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორივე მისამართზე (სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში) დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 22.10.2026წ.
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლები დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება დათქმულ ვადებში 15.11.2024წ.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შემუშავება დათქმულ ვადებში 11.11.2024 – 11.12.2024წ.

ინდიკატორი 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმის შემუშავება დათქმულ ვადებში 11.11.2024 – 11.12.2024წ.
---------------------	---	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სოფელ ღურტის და სოფელ იაკობაძეების სკოლის შენობებში, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა სოფელ ღურტის სკოლის ძირითად შენობაში დათქმულ ვადებში 22.10.2025 – 22.10.2025წ.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი.	სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის აყვანა მუსიკის საგანში დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 15.09.2025წ.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სოფელ ღურტის და სოფელ იაკობაძეების სკოლის შენობებში, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა სოფელ ღურტის სკოლის ძირითად შენობაში დათქმულ ვადებში 22.10.2025 – 22.10.2025წ.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი.	სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის აყვანა მუსიკის საგანში დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 15.09.2025წ.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სოფელ ღურტის და სოფელ იაკობაძეების სკოლის შენობებში, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა სოფელ ღურტის სკოლის ძირითად შენობაში დათქმულ ვადებში 22.10.2025 – 22.10.2025წ.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი.	სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის აყვანა მუსიკის საგანში დათქმულ ვადებში 22.10.2024 – 15.09.2025წ.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	მიზანშეწონილია მისია იყოს მოკლე, რამდენიმე ძირითადი წინადადებისაგან შემდგარი განაცხადი, რომელშიც გაცხადებული იქნება ის ძირითადი მიზანი/მიზეზი, რისთვისაც შეიქმნა ორგანიზაცია. მისიაში ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის იდენტობა და სკოლის როლის გაცნობიერება ზგემ-ის მიზნების კონტექსტში. ასევე მიზანშეწონილია მისიაში უფრო მკაფიოდ ჩანდეს როგორ აპირებს სკოლა დასახული მიზნების მიღწევას, რა რესურსების და საშუალებების გამოყენებით და რა პირობების შეთავაზებით გეგმავს მოსწავლეებში სასურველი შედეგების მიღწევას.



		მიზანშეწონილია ხედვა იყოს მოკლე განაცხადი, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. შესაძლებელია ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიზნები. მნიშვნელოვანია, ხედვასა და მისიას შორის იყოს კავშირი.
ინდიკატორი #1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.	მიზანშეწონილია სკოლამ სრულად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა ელემენტი ფილოსოფიისა და დაგეგმვის პროცესებში, კერძოდ მასწავლებლების გარდა გამოკითხვა ჩაატაროს მოსწავლეებსა და მშობლებში და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის წესის მიხედვით მომავალში ასახოს მისია-ხედვაში სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის მოსაზრებები და ინტერესები.
ინდიკატორი #1.1.1.5.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	მიზანშეწონილია სკოლამ სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი - მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსოს სკოლის საჯარო სივრცეში, გააცნოს სასკოლო საზოგადოების წევრებს პირადი შეხვედრების მეშვეობით სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე განათავსოს სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
ინდიკატორი #1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს მონაცემების შეგროვების მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოაგროვოს ინფორმაციები სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრების (როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისა და მშობლების) მხრიდან. სასურველია სკოლის დირექციის წევრებმა გაიარონ ტრენინგი სკოლის დაგეგმვის მიმართულებით, რაც სკოლას დაეხმარება სტრატეგიული დაგეგმვისა და ფილოსოფიის შემუშავების მიმართულებით.
ინდიკატორი #1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	მიზანშეწონილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს და ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნოს მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები და პროცედურები. ამისათვის კარგი იქნებოდა შესაბამისი ტრენინგის გავლა სკოლის ადმინისტრაციის მიერ.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი #3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	მიზანშეწონილია სკოლის სტრუქტურული სქემის დაზუსტება. მაგ. განისაზღვროს ვინ შედის დირექციაში, დაკონკრეტდეს საგნობრივი კათედრები, გამოჩნდეს ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა, მკაფიოდ ჩანდეს რომელი სტრუქტურული ერთეული რომელს ექვემდებარება და როგორი ურთიერთმიმართებაა სამსახურებრივ პოზიციებს შორის. მიზანშეწონილია მოსწავლეთა თვითმმართველობამ აწარმოოს ოქმები, სადაც აისახება მისი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, დისციპლინურ კომიტეტში თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევა, გატარებული ღონისძიებები.
ინდიკატორი #3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	მიზანშეწონილია სკოლას წერილობით ჰქონდეს შემუშავებული საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით.
ინდიკატორი #3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	მიზანშეწონილია აპლიკანტის შერჩევის დროს საკონკურსო კომისიამ შეადგინოს 3 ოქმი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილი კონკურსის 3 ეტაპის (1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა) გათვალისწინებით). მიზანშეწონილია სკოლის დირექტორიმა ღია კონკურსი გამოაცხადოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე კონკურსის ბრძანებაში და სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეავსოს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე ღია კონკურსის მეშვეობით.
ინდიკატორი #3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	მიზანშეწონილია შრომითი ხელშეკრულებები დანომრილი იყოს რიგითობის მიხედვით და გატარდეს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.
ინდიკატორი #3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები დეტალურად აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი



		კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა) და სკოლამ უფრო მეტად გამოიყენოს მასწავლებელთა შორის მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა. ასევე სასურველია შემუშავდეს მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირის ფორმა გამოცდილების გაზიარების მიზნით.
ინდიკატორი #3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს სპეციალური კითხვარი და ჩაატაროს გამოკითხვა მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. ასევე, სასურველია მასწავლებლებმა შეიმუშაონ სემესტრული/წლიურ თვითშეფასების შაბლონური დოკუმენტი, სადაც გამოჩნდება არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასება, არამედ გამოიკვეთება საკუთარი საჭიროებებიც.
ინდიკატორი #3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.	მიზანშეწონილია თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში განხორციელებული თვითშეფასების/შეფასების და საგაკვეთილო დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საჭიროებების გამოკვეთა და საგნობრივი სასწავლო გეგმის განვითარების დინამიკის უზრუნველყოფა. ასევე ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის დირექტორთან ან ხარისხის განვითარების ჯგუფთან პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შედეგების განხილვა, რის შედეგადაც დირექტორისგან ან ხარისხის განვითარების ჯგუფისგან იღებს განმავითარებელ უკუკავშირს.
ინდიკატორი #3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების რევიზია და დოკუმენტების მორგება სკოლის საჭიროებებზე, რაც შესაძლებელს გახდის სკოლაში რეალურად ამოქმედდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროცესული მიდგომის საფუძველზე.



ინდიკატორი #3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	მიზანშეწონილია სკოლაში დამრიგებლების მიერ წარმოებული მშობელთა კრებების ოქმების დღის წესრიგში შეტანილი იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, უფლება-მოვალეობების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება მშობელსა და სკოლას შორის, მშობელთათვის სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მშობლის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ხელმოწერით დადასტურება.
ინდიკატორი #3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებელ და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.	მიზანშეწონილია სკოლამ ცალკე განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი და ეს ფუნქცია გაწეროს შრომითი ხელშეკრულებით ან დირექტორის ბრძანებით. მიზანშეწონილია სკოლამ შემოიღოს მექანიზმი შენობაში მოსწავლეთა და ვიზიტორთა შემოსვლისა და გასვლის პროცესის გაკონტროლებისათვის. შესაძლოა აწარმოოს სპეციალური ჟურნალი და განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი. მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.
ინდიკატორი #3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	მიზანშეწონილია სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისას სკოლამ იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით და სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაცია აწარმოოს აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად.



		ასევე სასურველია ექთანს ჰქონდეს ლეპტოპი. რომლის საშუალებითაც იგი შეძლებდა მონაცემების ელექტრონული ფორმატით დამუშავებას და შესაბამისი ჟურნალების წარმოებას მინისტრის ბრძანების შესაბამისად..
ინდიკატორი #3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.	სასურველია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს უსაფრთხოების პოლიტიკის მარეგულირებელი წესი სკოლის რეალურ საჭიროებებთან. მაგ. წესის მე-10 მუხლი ითვალისწინებს სკოლის შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების შეგროვებას ვიზიტორთა შესახებ. მიზანშეწონილია ასევე განსაზღვროს ვინ გაუწევს მეთვალყურეობას სკოლის შესასვლელ კარს და უცხო პირთა შემოდივნებას და სკოლამ განსაზღვროს, ვინ იქნება მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე პასუხისმგებელი პირი.
ინდიკატორი 3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.	სკოლაში რეფერირების სისტემის ფუნქციონირების მიზნით მიზანშეწონილია სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესი და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ აწარმოოს რეფერირების რეესტრი - ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის აღრიცხვის რეესტრი სპეციალური ჟურნალის სახით.
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	მიზანშეწონილია სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნება სკოლის სოციალურ ქსელში მოხდეს მშობლის თანხმობით . ასევე მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (14.06.2023წ.). მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს სკოლაში გამოყოფილი პირის შესახებ და ეს ინფორმაცია იდება პერსონალურ



		მონაცემთა დაცვის სამახურის საიტზე (სკოლას შეტყობინების ვალდებულება აქვს დანიშნვიდან/განსაზღვრიდან
ინდიკატორი 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	მიზანშეწონილია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესით ან სხვა სახის დოკუმენტით კონკრეტულად განისაზღვროს საკლასო და სხვა დანიშნულების ოთახებში განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა და დასახელებები და მათი სარგებლობის პირობები. მიზანშეწონილია წერილობით შემუშავდეს კომპიუტერული ლაბორატორიის და სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენების წესი და განრიგი გაწეროს სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	მიზანშეწონილია ბიბლიოთეკარმა გაიაროს სათანადო ტრენინგი საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევისა და წიგნადი ფონდის ელექტრონული აღრიცხვიანობის საკითხებზე. აღნიშნული ტრენინგ-კურსი ბიბლიოთეკარს მისცემდა შესაძლებლობას უფრო ეფექტურად გამოიყენოს სკოლაში არსებული საბიბლიოთეკო სივრცე საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
ინდიკატორი 3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	მიზანშეწონილია სკოლამ გამიჯნოს ერთმანეთისაგან საკადრო და საერთო ბრძანებები, როგორც ეს განსაზღვრული აქვს საქმისწარმოების დებულებაში. ასევე ბრძანებების ნუმერაცია განახორციელოს საკადრო და საერთო ბრძანებების კლასიფიცირების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია სკოლამ აწარმოოს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.
ინდიკატორი 3.7.1.1.	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;	სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს მიზანშეწონილია დაინტერესებული პირის მხრიდან სამსახურებრივი ბარათით მიმართვა



		სკოლის დირექტორის სახელზე არსებული საჭიროების დაკმაყოფილების თაობაზე.
ინდიკატორი 3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	მიზანშეწონილია ბუღალტერმა შეიმუშავოს ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ფორმა , რომელშიც ასახული იქნება შემოსავლები და გასაღები თვეების მიხედვით, ასევე ნაშთი, რომელსაც დადგენილი პერიოდულობით წარუდგენს სკოლის დირექტორს. ასევე სასურველია ამოქმედდეს სამსახურებრივი ბარათის პრაქტიკაც, რომლის ფარგლებშიც ყოველი წლის ბოლოს ბუღალტერი წარადგენს დირექტორის სახელზე სამსახურებრივ ბარათს ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასაღების შესახებ ან/და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში. ასევე სასურველია სკოლამ ბიუჯეტის ხარჯვა გაასაჯაროვოს (გამოაქვეყნოს თვალსაჩინო ადგილზე).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;	მიზანშეწონილია სასკოლო სასწავლო გეგმით დაკონკრეტდეს საწრეო მუშაობის პრინციპები და მიზნები, განისაზღვროს წრეების მუშაობის რეგულაციები, სამიზნე ჯგუფები და მისაღწევი შედეგები. ასევე სასურველია სასკოლო კლუბს ჰქონდეს თავისი წესდება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებების იდეა, რაც მოსწავლეზე ორიენტური სასწავლო პროცესის დაგეგმას და განვითარებას შეუწყობს ხელს.



		სახელმწიფო ენა: კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში არის მცირე ცდომილებები და სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს სამომავლოდ. კონკრეტულად: მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კონტექსტმაგალითები წერია საკითხის გრაფაში, იხელმძღვანელონ სხვა კლასის კურიკულუმით და სვეტები შეავსონ შესაბამისად; სასწავლო რესურსებს ყველგან მიუთითონ გვერდები. სასურველია, გადახედონ კურიკულუმის ჩარჩოს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: სასურველი იქნება კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: სასწავლო აქტივობები სასურველია ეფუძნებოდეს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოდ და ახდენდეს მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნეს მრავალფეროვანი აქტივობები . სახელმწიფო ენა: სასურველია, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია მუსიკის ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს ყოველი თემის შესწავლის შედეგად მიღწეული შუალედური მიზნის წარმოდგენის შემოქმედებითი პროდუქტი ან კომპლექსური სახის შეაჯამებელი დავალება.



		მათემატიკა: სასურველია წინასწარ განისაზღვროს თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა არის საჭირო დავალების პირობიდან გამომდინარე და კათედრასთან შეთანხმებით მოხდეს მისი სკოლის საჭიროებაზე მორგება. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია ჩვენი საქართველოს მე-5 კლასის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს მე - 6 კლასის საგნობრივ კურიკულუმებშიც, შუალედურ სასწავლო მიზანში წარმოდგენილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი და მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ.(სამიზნე ცნებებისკენ) სახელმწიფო ენა: სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებით.
ინდიკატორი 2.1.2.4.	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში აისახოს მეტი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების განხორციელებას. მათემატიკა: სასურველია ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მაქსიმალურად ადაპტირებულ დავალებებზე, რათა მათი მაქსიმალური ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი. სახელმწიფო ენა : შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს ,სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე.მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა.მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.



ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას უფრო მრავალფეროვანი, მათ შორის ციფრული რესურსები, დოკუმენტური შემეცნებითი ხასიათის ფილმები. მათემატიკა: საგნობრივ კურიკულუმში სასურველია გაიწეროს ის რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას, და მხოლოდ ყურადღება არ გამახვილდეს ჰიპერლინკებით ვიდეო რესურსებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სკოლამ სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გაამდიდრო საგანმანათლებლო მატერიალური რესურსები,
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებში გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო დამატებითი რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთიერტკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან, თემასთან და საკითხთან, უცხოური ენები: სასურველია უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ შეფასებულ რუბრიკებში მეტად მკაფიოდ იყოს გაწერილი შეფასების კრიტერიუმები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდა: სკოლამ წარმოადგინა ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე დამიზნებული შეფასების რუბრიკები, სასურველია აქტიურად იქნას გამოყენებული სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე მიმართული კრიტერიუმების შემცველი შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი(ჩვენი საქართველო) და განმავითარებელი (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების



		ინდიკატორებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო ენა: სასურველია კათედრამ გააგრძელოს მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაოს კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით. უცხოური ენები: სასურველია კათედრამ ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვროს სამოქმედო გეგმა, და ამ გეგმის მიხედვით მოხდეს კურიკულუმების შემუშავება-განხორციელება.
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	უცხოური ენები: სასურველია, პედაგოგებმა ერთობლივად, ურთიერთთანამშრომლობით გაამრავალფეროვნონ დაწყებითი კლასების კურიკულუმები დამხმარე რესურსებით. თანამედროვე აპლიკაციები და უცხოური ენისთვის საჭირო რესურსები მრავლადაა ინტერნეტ სივრცეში, რაც უფრო მეტად საინტერესოსა და სახალისოს გახდის სწავლა-სწავლების პროცესს დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	უცხოური ენები: სასურველია პედაგოგებმა შექმნან დიფერენცირებული დავალებების ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებსა და მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით სწავლებას.
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად ის მექანიზმები/ინსტრუმენტები/საშუალებები ასახოს, რომლებსაც იყენებს ან და მომავალში გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საკვლევად. (მაგ: კითხვარი, ინტერვიუ, ინტერესთაფორმა, ჩექლისტი და სხვა).



	პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის შემდეგ თუ როგორ, რა ფორმით გაითვალისწინა მიღებული შედეგები, როგორ ასახა სასკოლო საზოგადოების თუთოეული რგოლის ინტერესები.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ინსტრუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად ასახოს ის საშუალებები/მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც ახლა ახორციელებს ან სამომავლოდ განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას (მაგ: დაკვირვება, გამოკითხვა, SWOT ანალიზი და სხვა).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად ის მექანიზმები/ინსტრუმენტები/საშუალებები ასახოს, რომლებსაც იყენებს ან და მომავალში გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საკვლევად. (მაგ: კითხვარი, ინტერვიუ, ინტერესთაფორმა, ჩექლისტი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის შემდეგ თუ როგორ, რა ფორმით გაითვალისწინა მიღებული შედეგები, როგორ ასახა სასკოლო საზოგადოების თუთოეული რგოლის ინტერესები.



ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ინსტრუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად ასახოს ის საშუალებები/მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც ახლა ახორციელებს ან სამომავლოდ განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას (მაგ: დაკვირვება, გამოკითხვა, SWOT ანალიზი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია მე-7 და მე-8 კლასის მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმის მსგავსად, ისტორიის, გეოგრაფიის და მე-9 კლასის მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებშიც წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებების იდეა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმას და განვითარებას შეუწყობს ხელს. სახელმწიფო ენა: მერვე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, განისაზღვროს დავალების შესაბამისი ცნებები და ქვეცნებები, ამისათვის იხელმძღვანელო მეცხრე კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით; მეშვიდე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანონ განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალებები. სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს სამომავლოდ ჩვენ რჩევა: გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოდგენს შემოქმედებით პროდუქტს	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია მუსიკის ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს ყოველი თემის შესწავლის შედეგად მიღწეული შუალედური მიზნის წარმოდგენის შემოქმედებითი პროდუქტი ან კომპლექსური სახის შეაჯამებელი დავალება. მათემატიკა: სასურველია შუალედური სასწავლო მიზნის დამუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს თემის ფარგლებში დასამუშავებელ საგნობრივ საკითხებზე.



		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია ისტორიის, გეოგრაფიისა და მე-9 კლასის მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში, შუალედურ სასწავლო მიზანში წარმოდგენილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი და ჩანდეს მჭიდრო ურთიერთკავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.(სამიზნე ცნებებთან) სახელმწიფო ენა: სასურველია კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.მეშვიდე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანონ განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალებები მსგავსად სხვა კლასებისა.
ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნეს მრავალფეროვანი აქტივობები .
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: სასურველია , ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები,რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.4.	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში აისახოს მეტი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების განხორციელებას. სახელმწიფო ენა : შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს ,სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე.მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა.მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების



		გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს. მათემატიკა: სასურველია აქტივობის დაგეგმის პროცესში გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეთა ინტერესის სფერო, სწავლის სტილი და სხვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სკოლამ სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გაამდიდროს საგანმანათლებლო მატერიალური რესურსები (თვალსაჩინოებები, პლაკატები, ისტორიული და გეოგრაფიული რუკები, ელექტრონული რესურსები).
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებში გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო დამატებითი რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთიერტკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან, თემასთან და საკითხთან. მათემატიკა: სასურველია კურიკულუმში სასწავლო რესურსები გახდეს უფრო მრავალფეროვანი, რათა დიფერენცირებული სწავლების პრინციპები იქნას მიღწეული.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდა: სკოლამ წარმოადგინა ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე დამოხმებული შეფასების რუბრიკები, სასურველია აქტიურად იქნას გამოყენებული სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე მიმართული კრიტერიუმების შემცველი შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ აქტიურად



		გამოყენოს განმსაზღვრელი(ჩვენი საქართველო) და განმავითარებელი (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო)შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო ენა: სასურველია კათედრამ გააგრძელოს მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაოს კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით. მათემატიკა: სასურველია შეფასების რუბრიკების შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას მათემატიკის საგნობრივი საკითხებით განსაზღვრული ინდიკატორები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტულად ის მექანიზმები/ინსტრუმენტები/საშუალებები ასახოს, რომლებსაც იყენებს ან და მომავალში გამოიყენებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საკვლევად. (მაგ კითხვარი, ინტერვიუ, ინტერესთაფორმა, ჩექლისტი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევის შემდეგ თუ როგორ, რა ფორმით გაითვალისწინა მიღებული შედეგები, როგორ ასახა სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის ინტერესები.

ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ინსტრუმენტები/მექანიზმები რითიც ადგენს იმას თუ რამდენად რელევანტურია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად ასახოს ის საშუალებები/მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც ახლა ახორციელებს ან სამომავლოდ განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას (მაგ: დაკვირვება, გამოკითხვა, SWOT ანალიზი და სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სახელმწიფო ენა: სასურველია, მეთერთმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მიუთითონ შესაბამისი რესურსები და გვერდები; მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მიუთითონ სახელმძღვანელოს ავტორი და გამომცემლობა; მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩო შეავსონ მსგავსად ამავე საფეხურის სხვა კლასებისა და შეიტანონ განსაზღვრული შუალედური მიზნები. სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს სამომავლოდ რჩევა: გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მე-11 კლასის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმების მსგავსად მე-10 კლასის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის, მე-11 და მე-12 კლასის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებშიც წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებების იდეა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმას და განვითარებას შეუწყობს ხელს. შეიმუშაოს, დახვეწოს მე-12 კლასის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: სასურველია, ყველა თემის ფარგლებში განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ის გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში.



ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში, შუალედურ სასწავლო მიზანი წარმოდგენილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი და ჩანდეს მჭიდრო ურთიერთკავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებთან.(სამიზნე ცნებებთან) სახელმწიფო ენა: სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანონ განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალებები მსგავსად სხვა კლასებისა.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.4.	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სახელმწიფო ენა : შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს, სასურველია, კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მათთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა. მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას უფრო მრავალფეროვანი, მათ შორის ციფრული რესურსები. მათემატიკა: სასურველია სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად დასაგეგმად



		კურიკულუმში გაითვალისწინოთ რესურსების მრავალფეროვნება. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სკოლამ სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გაამდიდროს საგანმანათლებლო მატერიალური რესურსები.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებში გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო დამატებითი რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთიერტკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან, თემასთან და საკითხთან. მათემატიკა: მხოლოდ ვიდეო რესურსები არ იძლევა სასწავლო პროცესის ეფექტურობას სასურველია, დაგეგმის პროცესშივე გაითვალისწინოთ ყოველივე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი(ჩვენი საქართველო) და განმავითარებელი (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო ენა: სასურველია კათედრამ გააგრძელოს მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაოს კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მეტად დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. ფიზიკური აღზრდა და სპორტი: სასურველია შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით.

		მათემატიკა: მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები გამომდინარეობდეს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტიდან და აკონკრეტდეს თემის ფარგლებში შეფასების მიზნებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სკოლისათვის მისაღებია პროექტში ასახული რჩევები, რომელთაც გაითვალისწინებს სასწავლო პროცესში მომდევნო სასწავლო წლიდან, ხოლო მიღებული რეკომენდაციების შესრულებას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში საკუთარი სახსრებით და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლას შემუშავებული აქვს მისია: სკოლის მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელიც მზად იქნება 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე. მოსწავლე, რომელიც იქნება წიგნიერი და მოაზროვნე, შემოქმედებითი, მიზანდასახული და კონკურენტუნარიანი; მოსწავლე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერებით; მოსწავლე, რომელმაც იცის კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე გაცნობიერებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობები. სკოლის უმთავრესი მისიაა უწყვეტი ზრუნვა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მათთვის ისეთი წინაპირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში.

სკოლას აქვს ხედვა: ღურტის საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად ზრუნვადეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე, წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ამ მიზნით სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

ა) სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პარალელურად არაფორმალური სწავლების მეთოდების ამუშავება.

ბ) მოსწავლეების შესაძლებლობების, ნიჭისა და ინტერესების რეალიზება, ძლიერი მხარეების აღმოჩენა და განვითარება, სკოლაში შექმნილი შესაბამისი ინკლუზიური, ინდივიდუალური მიდგომების კიდევ უფრო მეტად დახვეწა.

გ) სამომავლოდ სკოლის ჩართულობით უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ამოქმედებით გადამზადების სხვადასხვა პროფესიული კურსის გავლა.

დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის გაძლიერების მიზნით სპორტული აქტივობების გააქტიურება.

ე) სკოლის ყველა საფეხურზე განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება.

ვ) მოსწავლეებისათვის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც თითოეულ მათგანს მისცემს საშუალებას უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

ზ) თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

თ) საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება.

სკოლას შემუშავებული აქვს ღირებულებები: სიახლეების მიმართ ღიაობა, სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა, სამართლიანობა, გუნდურობა, ერთგულება, გამჭვირვალობა.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია მისია იყოს მოკლე, რამდენიმე ძირითადი წინადადებისაგან შემდგარი განაცხადი, რომელშიც გაცხადებული იქნება ის ძირითადი მიზანი/მიზეზი, რისთვისაც შეიქმნა ორგანიზაცია. მისიაში ჩამოყალიბებდეს ორგანიზაციის იდენტობა და სკოლის როლის გაცნობიერება ზგემ-ის მიზნების კონტექსტში. ასევე მიზანშეწონილია მისიაში უფრო მკაფიოდ ჩანდეს როგორ აპირებს სკოლა დასახული მიზნების მიღწევას, რა რესურსების და საშუალებების გამოყენებით და რა პირობების შეთავაზებით გეგმავს მოსწავლეებში სასურველი შედეგების მიღწევას.

მიზანშეწონილია ხედვა იყოს მოკლე განაცხადი, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. შესაძლებელია ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიზნები. მნიშვნელოვანია, ხედვასა და მისიას შორის იყოს კავშირი.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დადგენილი აქვს შეუსაბამობა ინდიკატორი 1.1.1.2.-ის მოთხოვნასთან. სკოლის მიერ გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობით გათვალისწინებული იყო სკოლის მისიისა და ხედვის გამიჯვნა ერთმანეთისაგან და მათი რევიზია. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიისა და ხედვის განახლებული ვერსია, როგორც სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის (2024-2031წწ.) ნაწილი. მისიისა და ხედვის ახალ ვერსიაში უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი სკოლის როლი უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცესთან მიმართებაში, ვიდრე ეს მის პროექტში იყო. მაგ. მისიის მიხედვით, სკოლა თავის უმთავრეს მიზნად აცხადებს უწყვეტ ზრუნვას მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მათთვის ისეთი წინაპირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში. ასევე სკოლის ხედვის თანახმად, სკოლა თავის მომავალს ხედავს, როგორც მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ ცოდნის კერად და გამოყოფს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული იყო შესაბამისობის აქტივობის უზრუნველყოფა 10.08.2024წლამდე, რაც სამუშაო ჯგუფმა უკვე შეასრულა სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის. ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისობაში და აღნიშნული რევიზიის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დადგენილი აქვს შეუსაბამობა ინდიკატორი 1.1.1.3.-ის მოთხოვნასთან. სკოლის მიერ გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობით გათვალისწინებული იყო სკოლის მისიისა და ხედვის რევიზია და პროცესის წარმართვა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიისა და ხედვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს. კერძოდ, მე-9 თავის მიხედვით გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის შექმნა, მისი ფორმირება და შემადგენლობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით #01-03-54 08.07.2024წ. შეიქმნა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფი 8 წევრის შემადგენლობით, მათ შორის მასწავლებლები, მშობლები და სამეურვეო საბჭოს წევრები. ჯგუფმა შეასრულა ბრძანებით დაკისრებული ამოცანები, კერძოდ შეაგროვა მონაცემები სასკოლო ცხოვრების შესახებ, მოამზადა SWOT ანალიზი და მისიისა და ხედვის პროექტი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ვერსიებთან ერთად. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ორი ოქმი - #1 ოქმი 07.07.2024წ. და #2 ოქმი 09.07.2024წ.

მისიისა და ხედვის თავდაპირველი ვერსია/პროექტი ჩამოყალიბებული იყო ძირითადად თეზისების სახით და იმეორებდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ნარატივს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის განახლებული ვერსია, რომელიც უკვე სტრატეგიული გეგმის ნაწილია, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შედგენილი სკოლის კითხვარი მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. მ/წლის ზაფხულის პერიოდში სკოლამ ჩაატარა გამოკითხვა აღნიშნული კითხვარის გამოყენებით მასწავლებლებში.

შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობა - მისია, ხედვა, ღირებულებების გადახედვა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლას უნდა განეხორციელებინა 10.08.2024 წლამდე, სკოლამ შეასრულა აღნიშნული აქტივობა. **ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ სრულად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა ელემენტი ფილოსოფიისა და დაგეგმვის პროცესებში, კერძოდ მასწავლებლების გარდა გამოკითხვა ჩაატაროს მოსწავლეებსა და მშობლებში და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის წესის მიხედვით მომავალში ასახოს მისია-ხედვაში სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის მოსაზრებები და ინტერესები.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დადგენილი აქვს შეუსაბამობა ინდიკატორი 1.1.1.4.-ის მოთხოვნასთან მიმართებაში. სკოლის მიერ გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობით გათვალისწინებული იყო სკოლის მისიისა და ხედვის რევიზია და გადახედვის პროცესის წარმართვა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით - რევიზია, გაზიარება და გასაჯაროება.

სკოლამ განახორციელა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობა, შეიმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებების განახლებული ვერსია, რომლის გაზიარება მოხდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #1 13.09.2024წ. რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა, რომლის ნაწილია მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა 2024-2031წწ. რომლის შესავალი ნაწილი ეთმობა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #1 13.09.2024წ. რომლის დღის წესრიგიც ასევე ითვალისწინებს 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცებას. ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად, დათქმულ ვადაში განხორციელებული აქტივობის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დადგენილი აქვს შეუსაბამობა ინდიკატორი 1.1.1.5.-ის მოთხოვნასთან მიმართებაში. სკოლის მიერ გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობით გათვალისწინებული იყო სკოლის მისიისა და ხედვის რევიზია და გადახედვის პროცესის წარმართვა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით - რევიზია, გაზიარება და გასაჯაროება. სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის სკოლას არ ჰქონდა გასაჯაროებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტაცია არ იყო განთავსებული სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, თუმცა გამოკრული იყო სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ასევე საზაფხულო პერიოდის გათვალისწინებით ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სკოლის ფილოსოფია გაცნობილი მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, რომლის გაზიარებას სკოლა გეგმავს სასწავლო წლის დასაწყისში. თუმცა ფილოსოფია

გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის სოციალურ ქსელებში დამრიგებლების მეშვეობით. ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესასაბამისად, დათქმულ ვადაში განხორციელებული აქტივობის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი - მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსოს სკოლის საჯარო სივრცეში, გააცნოს სასკოლო საზოგადოების წევრებს პირადი შეხვედრების მეშვეობით სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე განათავსოს სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ღურტის სკოლას აქვს ორი კორპუსი - ერთი ძირითადი სოფელ ღურტაში და ერთი დამხმარე კორპუსი სოფელ იაკობაძეებში. მეორე დამხმარე კორპუსში, მეზობელ სოფელ იაკობაძეებში, განთავსებულია დაქვემდებარებული სკოლა - სოფელ იაკობაძეების დაწყებითი სკოლა. 2005 წლიდან, როცა სკოლები ჩამოყალიბდა სსიპ-ებად, სოფელ იაკობაძეების სკოლა გაუქმდა და დაექვემდებარა სოფელ ღურტის საჯარო სკოლას. შესაბამისად სკოლამ წარმოადგინა ორი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა საკადასტრო კოდით. ერთი ამონაწერის საკადასტრო კოდია #23.02.31.012. და მეორე ამონაწერის საკადასტრო კოდია #23.02.31.004. ორივე ამონაწერის მიხედვით სკოლა, როგორც მოსარგებლე პირი დარეგისტრირებულია როგორც სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლა. შესაბამისად სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 და ოქმი #2
- კითხვარი - სკოლის ფილოსოფიის შესახებ
- სტრატეგიული გეგმა
- პედსაბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. - სტრატეგიული გეგმის განხილვის თაობაზე
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. - სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #01-03-53 08.07.2024წ. „სოფელ ლურტის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესები, დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა და ა.შ. მეთოდოლოგია შეიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო

გეგმების შემუშავების ეტაპები მოიცავს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტების შემუშავება, პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით მეტწილად შესაბამისად ჰქონდა შეფასებული 1.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა. კერძოდ, ავტორიზაციის განაცხადის შევსების მომენტში სკოლას არ ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). სკოლას განსაზღვრული ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა შეემუშავებინა სტრატეგიული გეგმა 10.09.2024 წლამდე. **სკოლაში ვიზიტის დროისათვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული გეგმა**, რომელიც წარმოადგინა მტკიცებულების სახით. გეგმა არის შვიდწლიანი და გაწერილია 2024-2031 წლებზე. გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომელთა შემუშავება მოხდა ერთი და იგივე სამუშაო ჯგუფის მიერ მ/წლის ზაფხულის პერიოდში. სკოლამ ასევე წარმოადგინა **სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე**. სტრატეგიული გეგმის შექმნის მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა შეისწავლა სასკოლო საზოგადოების აზრი (მასწავლებლების), გაკეთდა SWOT ანალიზი, შეფასდა და განისაზღვრა საჭიროებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დაზუსტდა სკოლის მისია, ჩამოყალიბდა ხედვა და ღირებულებები, რომელთა შესაბამისად შედგა სტრატეგიული განვითარების პროექტი. პროექტის დამტკიცება მოხდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 13.09.2024წ.

გეგმის მიხედვით მიზნები და ამოცანები თავსებადია სკოლის მისიასთან. კერძოდ, სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, 2. ადამიანური რესურსების განვითარება, 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს შექმნა, 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, 7. სკოლის ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება დაყოფილია ამოცანებად. მაგალითად, **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება მოიცავს შემდეგ ამოცანებს**: ახალი პროექტების შემუშავება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა. **მისიის მიხედვით სკოლა მიზნად ისახავს** აღზარდოს პიროვნება, რომელიც მზად იქნება 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე. ასევე სკოლის უმთავრესი მისიაა უწყვეტი ზრუნვა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე და მათთვის ისეთი წინაპირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში. ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად, დათქმულ ვადაში განხორციელებული აქტივობის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით მეტწილად შესაბამისად ჰქონდა შეფასებული 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა. კერძოდ, ავტორიზაციის განაცხადის შევსების მომენტში სკოლას არ ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლას განსაზღვრული ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა 16.09.2024 წლამდე. **სკოლაში ვიზიტის დროისათვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგინა მატერიალური სახით (დრაფტი) ექსპერტთა ჯგუფთან.** სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. და სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. რომელთა დღის წესრიგიც ითვალისწინებს 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის განხილვას და დამტკიცებას.

პედსაბჭოს სხდომაზე მასწავლებლებს წარედგინა სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2024-2025 სასწავლო წლის მანძილზე დასახული ამოცანების მიღწევასა და პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. სამოქმედო გეგმაში აისახა ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებიც გავლენას მოახდენენ, ან შესაძლოა მოახდინონ, სკოლის განვითარებაზე, მის წინსვლასა და წარმატებაზე. გეგმა ითვალისწინებს აქტივობების აღწერას, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პირის იდენტიფიკაციას. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიზანია სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების მისაღწევი ღონისძიებების განხორციელება - სკოლის ორგანიზაციული განვითარების, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნისა და განვითარების კუთხით.

სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებაზე, რომელსაც სკოლა ახორციელებს გასული სასწავლო წლის მონაცემების შეგროვების საფუძველზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ანგარიში 2023-2024 ს.წ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც თავმოყრილია გარკვეული სახის ინფორმაციები და გადმოცემულია პროცესების შეფასებები. **სხვა სახის მონაცემები, რომლებსაც დაემყარება დირექტორის აღნიშნული ანგარიში, სკოლამ წერილობითი სახით ვერ წარმოადგინა.** სკოლას აქვს მონაცემების ზეპირი სახით შეგროვების პრაქტიკა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან, რაც არასაკმარისია ზუსტი და ეფექტური თვითშეფასების გასაკეთებლად. სკოლის მოქმედი ხელმძღვანელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია, შესაბამისად მას არ გაუვლია მასწავლებლის სახლის ტრენინგების კურსი, რომელიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების საკითხებს ეხება.

ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად, დათქმულ ვადაში განხორციელებული აქტივობის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაცმყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს მონაცემების შეგროვების მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოაგროვოს ინფორმაციები სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრების (როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისა და მშობლების) მხრიდან. სასურველია სკოლის დირექციის წევრებმა გაიარონ ტრენინგი სკოლის დაგეგმვის მიმართულებით, რაც სკოლას დაეხმარება სტრატეგიული დაგეგმვისა და ფილოსოფიის შემუშავების მიმართულებით.

4.. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით მეტწილად შესაბამისად ჰქონდა შეფასებული 1.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა. კერძოდ, ავტორიზაციის განაცხადის შევსების მომენტში სკოლას არ ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლას განსაზღვრული ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა 16.09.2024 წლამდე. სკოლაში ვიზიტის დროისათვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგინა მატერიალური სახით ექსპერტთა ჯგუფთან. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. და სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. რომელთა დღის წესრიგიც ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის განხილვას და დამტკიცებას. სკოლაში ვიზიტის დროისათვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო ერთწლიანი გეგმა 2024-2025 ს/წლისათვის, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად, დათქმულ ვადაში განხორციელებული აქტივობის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03-53 08.07.2024წ. „სოფელ ღურტის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
- სკოლის დირექტორის ანგარიში 2023-2024 ს/წ სასწავლო პროცესის შესახებ
- პედსაბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ
-

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტის მე-12 თავის მიხედვით გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ, სკოლა განხორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარში და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუა პერიოდში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მოიაზრებს მონაცემების და მტკიცებულებების შეგროვებას შესაბამისი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით, შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. დეტალურა არის განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცედურები.

რჩევა: მიზანშეწონილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს და ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნოს მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები და პროცედურები. ამისათვის კარგი იქნებოდა შესაბამისი ტრენინგის გავლა სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- 2.. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.
- 3.. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.
4. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვი, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურის დოკუმენტი სქემის სახით. სკოლაში მოქმედებს სქემით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები.

სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურული სქემა. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შრომითი ხელშეკრულებებით. მაგ. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, დამრიგებლის მუშაობის დებულება. თუმცა დოკუმენტურად არ არის გაწერილი ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები, მაგ. პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, საგნობრივი კათედრის.

სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები:

სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი 20.06.2022წ. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და სამეურვეო საბჭო შედგება 6 წევრისაგან (3 მასწავლებელი, 3 მშობელი სამივე საფეხურიდან). სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ. (დღის წერიგი: შეიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცება, უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცება).

სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტში მასწავლებლების არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი პედსაბჭოს ოქმი #1 11.09.2023წ. თუმცა არ წარმოუდგენია დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან/და თავმჯდომარის არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში მოქმედებს 7 საგნობრივი კათედრა: 1. მათემატიკისა და ტექნოლოგიების, 2. სახელმწიფო ენის, 3. უცხოური ენების, 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების, 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, 6. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის, 7. დაწყებითი კლასების.

სკოლას არ წარმოუდგენია მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მაგ. დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების შესახებ და საბჭოს ოქმები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით 3.1.1.1. ინდიკატორი შეფასებულია მეტწილ შესაბამისად, რადგან სკოლას არა აქვს დოკუმენტურად გაწერილი ყველა პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. ყველა პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის შემუშავების ვადად სკოლას მითითებული ჰქონდა 01.11.2024 წელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის გეგმის თანახმად შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განსახორციელებლად გათვალისწინებულია 22.10.2024წ. – 30.12.2024წ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელება დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 30.12.2024წ.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლის სტრუქტურული სქემის დაზუსტება. მაგ. განისაზღვროს ვინ შედის დირექციაში, დაკონკრეტდეს საგნობრივი კათედრები, გამოჩნდეს ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა, მკაფიოდ ჩანდეს რომელი სტრუქტურული ერთეული რომელს ექვემდებარება და როგორი ურთიერთმიმართებაა სამსახურებრივ პოზიციებს შორის. მიზანშეწონილია მოსწავლეთა თვითმმართველობამ აწარმოოს ოქმები, სადაც აისახება მისი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, დისციპლინურ კომიტეტში თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევა, გატარებული ღონისძიებები.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომელთა თანამდებობრივი ვალდებულებები გადანაწილებულია და გაწერილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესში, დებულებებში და შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის საქმიანობის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც 2010 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დანიშნულია დირექტორის მ/შ-ად და დღემდე რეგისტრირებულია ემისში, როგორც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ის დღემდე მ/შ-ის რანგში ასრულებს ამ ფუნქციას. დირექტორის მ/შ-ს ექვემდებარება სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეურნეო პერსონალი. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას. თითოეული მათგანი, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს საკუთარ მოვალეობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. თითოეული დასაქმებული ხელმოწერამდე ეცნობა დოკუმენტს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი 20.06.2022წ.
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- პედსაბჭოს ოქმი #1 11.09.2024წ.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ.
- შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი
-

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

პერსონალის მართვის პროცესებს სკოლაში არეგულირებს შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე #1 13.09.2024წ. დოკუმენტით გაწერილია შემდეგი საკითხები: კადრების მოზიდვა და პერსონალის შერჩევა; პერსონალის დანიშვნა; თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები - ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მათი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, დირექტორისა და მოადგილის როლი პროფესიული განვითარების ორგანიზების საქმეში; სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

პერსონალის მართვის პროცესების რეგულაციები სკოლას ასევე გაწერილი აქვს **შინაგანაწესში**. მაგალითად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვაზე რეაგირების ვადები და პირობები,

საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალში შედის: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურებისა და თანამშრომლების უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ღურტის სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ სხვადასხვა ლოკაციაზე - სოფელ ღურტაში და მისგან 4 კმ-ით დაშორებულ სოფელ იაკობაძეებში (დაწყებით სკოლაში). **სოფელ ღურტაში ძირითად კორპუსში სასწავლო პროცესს კურიერებს დირექტორი და დ/მოდელი, სოფელ იაკობაძეების დაწყებით სკოლაში სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს ადმინისტრატორი.** ადმინისტრატორის შტატი გათვალისწინებულია სამშატო განრიგით და მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის პასუხისმგებლობა სასწავლო პროცესზე, უსაფრთხოებაზე და ადმინისტრირებაზე. სოფელ იაკობაძეების დაწყებით სკოლაში დასაქმებულია 4 მასწავლებელი, მათ შორის 2 დაწყებითის პედაგოგი, რომლებიც ასწავლიან 1-3 და 2-4 კლას-კომპლექტებს. ორი პედაგოგი - ხელოვნებისა და უცხო ენის - ორივე სოფლის სკოლაშია დასაქმებული და მათი საგაკვეთილო ცხრილი შესაბამისადაა შედგენილი. აღნიშნული პედაგოგები თანამშრომლობენ სოფელ ღურტის სკოლის პედაგოგებთან, ესწრებიან პედსაბჭოს და სხვა კოლეგიური ორგანოების სხდომებს და სხვადასხვა სახის სასკოლო ღონისძიებებში იღებენ მონაწილეობას.

სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა დაგვიანების, გაცდენის და გაცდენილი საათების ანაზღაურების აღრიცხვის ჟურნალი 2022-2023 ს/წლიდან. ჟურნალში ასახულია ყველა მასწავლებელი, რომლებსაც გამოყოფილი აქვთ თავისი გვერდი. ჟურნალში ასახულია კონკრეტული შემთხვევა - მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენის და მისი ჩანაცვლების, ასევე როგორ მოხდა გაცდენილი გაკვეთილის ანაზღაურება. ჟურნალში ჩამაგრებულია მასწავლებლის განცხადებები, რომლებშიც მითითებულია რომ გაცდენას ანაზღაურებს დამატებითი ჩატარებული საათების ხარჯზე.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლას წერილობით ჰქონდეს შემუშავებული საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი**, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. **სკოლაში საგნის ვაკანტური საათების შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი.** შიდა კონკურსის გამოცხადების პრაქტიკა სკოლაში არ არის საკითხის არარელევანტურობის გამო. **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ღია**

კონკურსის ეტაპები: 1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა. სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა სკოლის ელექტრონული საქმისწარმოება, კერძოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლების ვაკანსიების გვერდი. 2022-2024 წლებში სკოლას ჩატარებული აქვს რამდენიმე ღია კონკურსი სხვადასხვა პოზიციაზე ვაკანსიის შესავსებად. მაგ. სკოლამ ექთნის შესარჩევად 2023 წელს ჩაატარა ღია კონკურსი და განაცხადი განათავსა სკოლების ვაკანსიების გვერდზე. კონკურსი 3-ჯერ ჩატარდა და მესამე ჯერზე ოთხი კანდიდატიდან შეირჩა ერთ-ერთი სასურველი - ექთანი, რომელიც დღეს დასაქმებულია სკოლაში. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #01-03-09 05.05.2023წ. „სკოლაში ექთნის ვაკანტური ადგილის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“. ამავე ბრძანების დანართი #1-ით განისაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექთნის პოზიციისათვის. საქმისმწარმოებლის განცხადებით, სკოლაში გაფორმებულია შესაბამისი ოქმები, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია საკონკურსო კომისიის ოქმები. ექთანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და მასში გაწერილია ექთნის ვალდებულებები №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. სკოლამ ასევე წარმოადგინა მტკიცებულებად დირექტორის მ/შ ბრძანება #01-03-26 03.09.2023წ. „სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ - სპეციალური მასწავლებლის, ინგლისური ენის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, მუსიკის, ქიმიისა და ფიზიკის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. კომისიის შემადგენლობაში, გარდა სკოლის წარმომადგენლებისა შესული იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი და რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეში ინახება კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი ცნობები: ცნობა ნასამართლობის შესახებ. ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ.

2022 წელს სკოლამ ჩაატარა ღია კონკურსი სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური პოზიციაზე. განსაზღვრა კანონმდებლობის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსში განაცხადი შემოიტანა ოთხმა აპლიკანტმა და შეირჩა ერთ-ერთი კონკურსანტი, რომელთანაც გაფორმდა სათანადო შრომითი ხელშეკრულება. სკოლამ შეტყობინება/უკუკავშირი აპლიკანტებთან გააგზავნა ოფიციალურ ფოსტაზე. სკოლის საქმისწარმოებლის განცხადებით შედგა საკონკურსო კომისიის 3 ოქმი, თუმცა სკოლას აღნიშნული ოქმები არ წარმოუდგენია. რაც შეეხება სააპელაციო კომისიას, ჩატარებულ კონკურსებს არანაირი საჩივარი არ მოჰყოლია და სააპელაციო კომისიის ფორმირების საჭიროება არ დამდგარა.

რჩევა: მიზანშეწონილია აპლიკანტის შერჩევის დროს საკონკურსო კომისიამ შეადგინოს 3 ოქმი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილი კონკურსის 3 ეტაპის (1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა) გათვალისწინებით). მიზანშეწონილია სკოლის დირექტორმა ღია კონკურსი გამოაცხადოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე კონკურსის ბრძანებაში და სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეავსოს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე ღია კონკურსის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. ასევე საშტატო განრიგი. წარმოდგენილია თანამშრომელთა კადრების აღრიცხვის ფურცლები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის კვალიფიკაცია წარმოდგენილი შრომით ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შემთხვევითი დათვალიერების გზით.

სკოლაში დასაქმებულია 26 პედაგოგი. ამათგან 4 წამყვანი მასწავლებელი და ერთი მენტორი, 20 უფროსი მასწავლებელი, ერთი უსტატუსო (სკოლის დირექტორის სახით). მათ შორის სკოლის ადმინისტრატორი - უფროსი მასწავლებლის პოზიციაზე და საქმისმწარმოებელი - წამყვანი მასწავლებლის პოზიციაზე. სკოლის დირექტორს შეთავსებული აქვს მუსიკის საათები მე-5-მე-9 კლასებში - საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 10 საათს (დირექტორი არ არის სერტიფიცირებული პედაგოგი არც ერთ საგანში, პროფესიით არის ქიმიკოსი), ხოლო დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს შეთავსებული აქვთ მუსიკის საათები I-IV კლასებში. აღნიშნულის მიზეზი არის ჩამოყალიბებული ღია კონკურსები, რომლებიც ორჯერ ჩატარდა 2022 წელს V-IX კლასებისათვის, მაგრამ ვერც ერთხელ შეირჩა სასურველი კანდიდატი არასათანადო კვალიფიკაციის გამო.

დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20.08.2019წ. №174/ნ ბრძანების „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2007წ. №959 ბრძანების „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პირადი საქმეები (ექთნის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის). მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის ექთანს შერჩეულია ღია საკონკურსო წესით 2023 წლიდან, ექთანს აქვს სათანადო კვალიფიკაცია, მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია

შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: 1) უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; 2) წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება და 3) მენტორი მასწავლებლის ხელშეკრულება და კანონმდებლობის შესაბამისადაა განსაზღვრული მათი ფუნქცია-მოვალეობები. მათი პროფესიული ვალდებულებები განსხვავებულია.

სკოლის ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი და დირექტორის მ/შ-ს ამავე სკოლაში დასაქმებული არიან მასწავლებლის პოზიციაზე. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მასწავლებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს (უფროსი და წამყვანი მასწავლებელი). დირექტორის მ/შ არის უსტატუსო მასწავლებელი მუსიკაში. მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება დადგენილ ნორმას.

სკოლას არ ჰყავს მასწავლებლობის მაძიებელი, არც მოწვეული მასწავლებელი, არც შემცვლელი მასწავლებელი, არც სპეციალური მასწავლებელი. სკოლა 2023 წლის სექტემბრიდან ჩართულია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამაში „ასწავლე ნათელი მომავლისათვის“. სკოლაში ინგლისურის საგნის ვაკანსიის შემთხვევაში იმ პირობებში, თუ 2-ჯერ ვერ შეირჩევა კადრი სკოლის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსით, რესურსცენტრი აკეთებს რეესტრს. აჭარის განათლების სამინისტრო აცხადებს ცალკე კონკურსს და შეარჩევს კანდიდატს სხვა მუნიციპალიტეტიდან, სამინისტრო პედაგოგს უხდის სტანდარტზე დამატებით განსხვავებულ ხელფასს, სკოლა თავის მხრივ აფორმებს ხელშეკრულებას ასეთ მასწავლებელთან და ვაუჩერიდან იღებს საათობრივ ანაზღაურებას. სკოლას სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში სოციალური სააგენტოსთან თანამშრომლობით დასაქმებული ჰყავს 3 დამლაგებელი, 1 მეეზოვე, 2 ღამის დარაჯი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით სკოლას 3.1.2.4. ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს ყველა პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შემუშავება. კორექტირებული შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის დროს სკოლამ განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელების ახალი ვადები 22.10.2024წ. – 01.12.2024წ.

ასევე, პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკის საათებს ატარებენ არასერტიფიცირებული მასწავლებლები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების უზრუნველყოფა 10.22.2024წ. – 5.15.2025წ.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობის განხორციელება და შეიმუშავოს ყველა პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი 22.10.2024წ. – 01.12.2024წ.

ასევე სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების უზრუნველყოფა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკის სწავლებაში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 10.22.2024წ. – 5.15.2025წ.

რჩევა: მიზანშეწონილია შრომითი ხელშეკრულებები დანომრილი იყოს რიგითობის მიხედვით და გატარდეს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში დამკვიდრებული პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მართვაში იკვეთება მართვის მონაწილეობითი სტილი **პერსონალის ჩართულობა და თანამშრომლობა დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. შემუშავებულია ადაპტაციის წესი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით**, რომლის მიხედვით ხდება, სკოლაში ახლად დასაქმებული კადრის სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაცია. სკოლის სტრუქტურული ერთეულის წევრები მუშაობენ თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებსა და საჭიროებებს. საგნობრივ კათედრებზე იგეგმება სამოქმედო გეგმების შემუშავება, კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ფუნქციონირებს **„კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“**. ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები. პედსაბჭოს ოქმის #1 13.09.2024წ. დღის წესრიგით გათვალისწინებულია პედაგოგიური საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის/განრიგის დამტკიცება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვა დამტკიცება, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა დამტკიცება, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა და დამტკიცება.

თანამშრომლობითი სასწავლო გარემო სკოლას ძლიერ მხარედ აქვს მითითებული SWOT ანალიზში და ეს გამოჩნდა თანამშრომლებთან შეხვედრა-გასაუბრების დროს. სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობის დამადასტურებლად კოლეგიალური ორგანოების (პედსაბჭოს, საგნობრივი კათედრების და სხვა) შეხვედრების ოქმები. საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად სკოლაში შექმნილია ფეისბუქის ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება. სკოლაში გათვალისწინებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციონირება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლაში არსებობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, უკუკავშირის მიღებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების პრეცედენტები, სკოლის სოციალურ ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო, სასკოლო თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - პრეზენტაცია კონფერენცია „არაფორმალური განათლება მდგრადი განვითარებისათვის“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები დეტალურად აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა) და სკოლამ უფრო მეტად გამოიყენოს მასწავლებელთა შორის მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა. ასევე სასურველია შემუშავდეს მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირის ფორმა გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- პედსაბჭოს ოქმი #1 13.09.2024წ.
- შრომითი ხელშეკრულებები უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებელთან
- სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #01-03-09 05.05.2023წ. „სკოლაში ექთნის ვაკანტური ადგილის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“.
- ამავე ბრძანების დანართი #1 - საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექთნის პოზიციისათვის.
- დირექტორის მ/შ ბრძანება #01-03-26 03.09.2023წ. „სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“
- მასწავლებელთა დაგვიანების, გაცდენის და გაცდენილი საათების ანაზღაურების აღრიცხვის ჟურნალი 2022-2023 ს/წლიდან.
- პერსონალის მონაცემები ისქულის ბაზის მიხედვით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს საჭიროებების დადგენის გარკვეულ მექანიზმებს. კერძოდ, დოკუმენტის მე-10 მუხლი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება ითვალისწინებს დასაქმებულთა აზრის პერიოდულ კვლევას და ანალიზს სამუშაო პირობების შესახებ. ასევე მე-13-14 მუხლები აწესრიგებს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას და ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის პროცესს მისი შეფასების მიზნით. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ასევე გათვალისწინებულია სკოლის მიერ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასება, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით #2-14 06.09.2023წ. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესსა და პირობებს, თუმცა დოკუმენტი უფრო შაბლონური ხასიათისაა და ნაკლებადაა მორგებული სკოლის საჭიროებებზე და რეალობაზე. მაგალითად, დოკუმენტის მე-6 მუხლის მიხედვით, რომლითაც განსაზღვრულია შეფასების ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის ხელმძღვანელად მითითებულია ხარისხის მართვის მენეჯერი, ასეთი პოზიციის ადამიანი კი კონკრეტული სკოლის რეალობაში არ ჩანს. დოკუმენტი ითვალსწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვებას, შეფასებას და უკუკავშირის მიცემას. აღნიშნული მექანიზმი იძლევა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია, რომ სკოლას აქვს საგაკვეთილო ურთიერთდასწრების და ურთიერთშეფასების პრაქტიკა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს სპეციალური კითხვარი და ჩაატაროს გამოკითხვა მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. ასევე, სასურველია მასწავლებლებმა შეიმუშაონ სემესტრული/წლიურ თვითშეფასების შაბლონური დოკუმენტი, სადაც გამოჩნდება არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასება, არამედ გამოიკვეთება საკუთარი საჭიროებებიც.

2. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლის დირექტორის მ/შ-მა პერსონალის კარიერული ზრდის მაგალითად მოიყვანა შემთხვევა, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული წესით აიმაღლა მასწავლებლის სტატუსი უფროსი მასწავლებლობიდან წამყვანობამდე ერთ-ერთმა ქართულის მასწავლებელმა 2022 წელს. ამ პროცესში ჩართული იყო სკოლის კოლეგიური ორგანოები - სამეურვეო საბჭო და პედსაბჭო. დირექტორის განმარტებით სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ფორმატი.

სკოლა ცდილობს უზრუნველყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რაც გამოიხატება კანონმდებლობის მიხედვით სკოლის ბაზაზე მასწავლებლებისათვის შესაბამისი ვალდებულებების განსაზღვრაში შემდეგნაირად: მასწავლებლები მონაწილეობენ კურიკულუმის შედგენაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, გადიან სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსის/კურსებს: ა) უფროსი მასწავლებელი გადის ტრენინგს მინიმუმ 20 საკონტაქტო საათი; ბ) წამყვანი მასწავლებელი გადის ტრენინგს მინიმუმ 12 საკონტაქტო საათი; გ) მენტორი მასწავლებელი გადის ტრენინგს მინიმუმ 6 საკონტაქტო საათი. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სერტიფიკატები, რომლებიც გაცემულია მასწავლებლის

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადსტურებს მასწავლებლის მიერ პროფესიული ტრენინგების გავლას. ადგილზე ვიზიტის პერიოდში დირექციის კაბინეტში ექსპერტა ჯგუფმა ნახა არაერთი მსგავსი სერტიფიკატი, მათ შორის საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი. ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერტიფიკატების ნიმუშები ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ორგანიზებულ რაიონულ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-15 მუხლი ეხება თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული გამოიხატება თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებასა და გაუმჯობესების ხელშეწყობაში შემდეგი ეტაპების მიხედვით: 1. პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; 2. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა; 3. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარული შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში განხორციელებული თვითშეფასების/შეფასების და საგაკვეთილო დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საჭიროებების გამოკვეთა და საგნობრივი სასწავლო გეგმის განვითარების დინამიკის უზრუნველყოფა. ასევე ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის დირექტორთან ან ხარისხის განვითარების ჯგუფთან პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შედეგების განხილვა, რის შედეგადაც დირექტორისგან ან ხარისხის განვითარების ჯგუფისგან იღებს განმავითარებელ უკუკავშირს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით, ადაპტაციის აქტივობები და ეტაპები. ახალი თანამშრომლის სწრაფად ადაპტაციისთვის სკოლა მას აცნობს სასკოლო გარემოს, კულტურას, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, წარუდგენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამატებს საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლა ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები. გამოიყენება სიტყვიერი წახალისების ფორმები: მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლამ წახალისების მტკიცებულებად წარმოადგინა **დირექტორის ბრძანება #01-03-2 09.09.2024წ. „მასწავლებელთა წახალისების შესახებ“**. რომელიც ითვალისწინებს მადლობის გამოცხადებას იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ავტორიზაციის პროცესში. ასევე **ღვაწლმოსილი მასწავლებლის დამსახურების აღიარება - 2023 წელს** სკოლამ წერილობით მიმართა რესურსცენტრს ეშუამდგომლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დაეჯილდოვებინა სიგელით როგორც ღვაწლმოსილი მასწავლებელი, რომელიც პენსიაზე გავიდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანწესი
- დირექტორის მ/შ ბრძანება #01-03-2 09.09.2024წ. „მასწავლებელთა წახალისების შესახებ“.
- მასწავლებელთა სერტიფიკატები და ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, მიზნები, სასწავლო პროცესის სხვა საკითხები. სკოლაში ხდება მასწავლებელთა თანამშრომლობა, უკუკავშირების გაცემა კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება და სხვა პროცესები, რომლებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის განვითარებას. სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით #34 2023 წელს „სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ“. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მზარდაჭერის ჯგუფის დებულება, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-14 06.09.2023წ. დოკუმენტის მიხედვით შეფასების ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრისგან (ხარისხის მართვის მენეჯერის, საგნობრივი ჯგუფის კათედრების ხელმძღვანელებისაგან).

თუმცა დოკუმენტები შაბლონური ხასიათისაა და რიგი მომენტები არ შეესაბამება სკოლის რეალობას, შესაბამისად დოკუმენტი საჭიროებს სკოლის საჭიროებებზე მორგებას. დოკუმენტი შეიცავს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დემინგის ციკლის ელემენტებს (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გააუმჯობესე) და მისი გამართვის შერმოთხვევაში შესაძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ამოქმედება სკოლაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების რევიზია და დოკუმენტების მორგება სკოლის საჭიროებებზე, რაც შესაძლებელს გახდის სკოლაში რეალურად ამოქმედდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროცესული მიდგომის საფუძველზე.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომლებიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სასაკოლო სასწავლო გეგმა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და სხვა). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სასწავლო მიზნების მიღწევას. ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/რგოლების ფუნქცია-მოვალეობები და მათი განხორციელების პროცედურები** (სამეურვეო საბჭო და მისი ფუნქციები, პედაგოგიური საბჭო და მისი ფუნქციები, საგნობრივი კათედრების და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მისი ფუნქციები, დისციპლინური კომიტეტი და მისი ფუნქციები და ა.შ).

სკოლაში ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად რგოლს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. **მმართველობითი პროცესები** (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები) აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, **შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს** შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). **საქმისწარმოების პროცესები** **დარეგულირებულია** სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. სკოლაში სწავლის შედეგების შეფასებისა და სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მოქმედებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის მონიტორინგისა და სრულყოფის მიზნით, ესწრება საგაკვეთილო პროცესებს და მასწავლებლებს აძლევს უკუკავშირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული გასაჩივრების წესის შესაბამისად. ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი აზრი და პრეტენზია. სკოლა ცდილობს შექმნას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის სივრცე როგორც მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის, ასევე სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის. თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინური კომიტეტის ან/და სამეურვეო საბჭოს მიერ რაიმე საკითხის განხილვის საჭიროება არ დამდგარა. ბოლო წლების განმავლობაში დისციპლინურ გამოწვევებზე რეაგირებას ახდენს სკოლის დირექტორის მ/შ.

დისციპლინური წარმოების წესი მოსწავლეებისა და თანამშრომლების მიმართ მოცემულია სკოლის შინაგანაწესში (დისციპლინური დევნა, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი და სხვა). შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების და საჩივრის განხილვის წესი. მასში მითითებულია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა აღნიშნული ჩანაწერი ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს გასაჩივრების კონკრეტულ მექანიზმებს. არაა დაკონკრეტებული საჩივრის წერილობითი ფორმის შემადგენლობა და გასაჩივრების ვადები, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი და სხვა.

სკოლაში არ არსებობს საჩივრების განხილვის მექანიზმი სამართლებრივად გაწერილი დოკუმენტის სახით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარმოადგინა შესაბამისობის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია საჩივრების განხილვის მექანიზმის დოკუმენტურად შემუშავება 11.04.2024წ. - 11.08.2024წ.

რეკომენდაცია: სკოლას ელევა რეკომენდაცია უზრუნველყოს საჩივრების განხილვის მექანიზმის დოკუმენტურად შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 11.04.2024წ. - 11.08.2024წ. (შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილია 07.11.2024წ.)

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მკაფიოდაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს

უფლებებსა და მოვალებებს. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგანაწესში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება, მშობლები ინფორმირებული არიან მათი კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ გაცემული ინფორმაციების მეშვეობით. თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“.

პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით: სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ჰყავს ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით.

თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- საქმისწარმოების დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 ს/წ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა სხვადასხვა არხითა და ინსტრუმენტის გამოყენებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, კერძოდ: სოციალური ქსელები, მესენჯერის ჩათი, სატელეფონო კომუნიკაცია, პირისპირ შეხვედრები მშობლებთან. სკოლაში პერიოდულად ეწყობა მშობლებთან შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამების და სკოლაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობის მიზნით. სკოლას ასევე აქვს ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის FB გვერდი, რომელზეც ათავსებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიახლესა თუ პროცედურას. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა სკოლის I სართულის ფოიეში მოწყობილი **საინფორმაციო დაფა**, რომელზეც ასახულია არაერთი ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებისა და სიახლეების შესახებ.

დირექტორის მ/შ ბრძანება #2-98-21 30.12. 2021 წელი - მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულებით განსაზღვრულია სკოლის ვალდებულებები მშობლების ინფორმირების შესახებ, მასწავლებლების ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას, მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. **სკოლას დოკუმენტის შედგენისას გამოყენებული აქვს სხვა სკოლის შაბლონი. შესაბამისად საჭიროა მისი შეცვლა და სკოლის რეალური დოკუმენტის შემუშავება.**

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლაში დამრიგებლების მიერ წარმოებული მშობელთა კრებების ოქმების დღის წესრიგში შეტანილი იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, უფლება-მოვალეობების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება მშობელსა და სკოლას შორის, მშობელთათვის სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მშობლის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ხელმოწერით დადასტურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები. აღნიშნული კოლეგიალური ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგიურ საბჭოში გაწევრიანებული ყველა პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში. სკოლის კოლეგიალური ორგანოები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: სკოლის ბიუჯეტის, შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმის დამტკიცება და სხვა.

სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: პედსაბჭოს ოქმი, სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომელთა დღის წესრიგიც მოიცავს სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო წლიური გეგმის დამტკიცებას. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგის ოქმი, სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.

უსაფრთხოების დაცვის საკითხებში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლა 2 სოფელშია განთავსებული და შესაბამისად 2 სხვადასხვა კორპუსი აქვს. ძირითადი კორპუსი და ერთი დამხმარე ნაგებობა რკინა-ბეტონისაა და მდებარეობს სოფელ ღურტაში, სადაც განთავსებულია ყველა კლასი I-XII კლასის ჩათვლით. მეორე კორპუსი, რომელიც ხისგანაა აშენებული, მდებარეობს მეზობელ სოფელ იაკობაძეებში და იქ განთავსებულია მხოლოდ 2 კლას-კომპლექტი - 1-III და II-IV კლასები.

სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. დირექტორის ბრძანებით სკოლაში გამოყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - მათემატიკის პედაგოგი, რომელიც სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა. მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე და გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და აღებული აქვს სერტიფიკატი.

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომელიც გამოკრულია ძირითადი კორპუსის ფოიეში. სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება მორიგე მასწავლებლის და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლიდან მოსწავლის გაშვება საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე ხდება კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. უსაფრთხოების დაცვას ღამით უზრუნველყოფს 2 დარაჯი, რომელთანაა გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები.

სკოლის ძირითად კორპუსს შემოვლებული აქვს **კაპიტალური რეინის ღობე**, რითაც სკოლა გამიჯნულია სოფლის მოსახლის ეზო-კარმიდამოსაგან და დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან. ძირითადი შენობის უკანა მხარეს ფერდობია, რომლის ძირშიც გამაგრების მიზნით ამოშენებულია დიდი ბლოკის მაღალი კედელი. რაც შეეხება დამხმარე ხის პატარა შენობას სოფელ იაკობაძეებში, ის განთავსებულია უსწორმასწორო რელიეფზე და მას შემორტყმული აქვს ხის პატარა ღობე, რომელიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. შენობაში არის ელექტროგაყვანილობა, თუმცა შენობას ვიზიტის პერიოდში არ მიეწოდებოდა ელექტრო ენერგია.

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლის კორპუსებში განთავსებულია **ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (სახანძრო სტენდი I სართულის ფოეში და ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაში ორივე კორპუსში)**. საევაკუაციო გეგმები გამოკრულია ძირითადი კოპუსის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას. სკოლას აქვს 3 საევაკუაციო კარი.

სოფელ ღურტაში მდებარე ძირითადი კორპუსი აშენებულია 1972 წელს, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა 2012 წელს (შეიცვალა სახურავი, გაკეთდა ფასადი, იატაკი, სველი წერტილები, გათბობის სისტემა). საკლასო ოთახებში 2012 წელს გაკეთდა ელექტროგაყვანილობა, თითოეულ საკლასო ოთახში დამონტაჟებულია 6 ნათურა, თუმცა დღეის მდგომარეობით მათგან მხოლოდ ნაწილია მუშა მდგომარეობაში. **სოფელ ღურტაში ძირითადი კორპუსის გვერდით არის დამხმარე შენობა**, რომელიც აშენებულია 1984 წელს და მას მერე არანაირი რეაბილიტაცია არ ჩატარებია. ამ დამხმარე შენობით სარგებლობს ძირითადად ბიბლიოთეკარი, რადგან მასში განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკა. რაც შეეხება სოფელ იაკობაძეებში მდებარე მეორე დამხმარე ხის ნაგებობას, ის აშენებულია 2012 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. ხის შენობა სულ 50 კვ.მ-ია და მასში განთავსებულია 2 საკლასო ოთახი, 1 სამასწავლებლო და 1 შესასვლელი ფოიე. ჭერი გადახურულია 2012 წელს და წყალი არ ჩამოდის. **სკოლის დირექტორის განმარტებით, 2024 წელს დაგეგმილი იყო სკოლის ძირითადი შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის ადა სპორტის სამინისტროს მიერ. კერძოდ, მ/წლის აგვისტოში მოხდა შენობის დათვალიერება/შესწავლა, შედგა შესაბამისი პროექტი და შეთანხმდნენ პრიორიტეტებზე (გარე ფასადი და ინტერიერი, ოთახების კარებები, გარე პანდუსის გაკეთება, გათბობის სისტემის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა, ელექტროგაყვანილობის ხელახალი მონტაჟი). თუმცა ამ ეტაპზე სამუშაოების ჩატარება ვერ მოესწრო და სკოლა მოლოდინის რეჟიმშია.

სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს #5 სხდომაზე 2024წელს, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისი ოქმი. დოკუმენტის მიზანია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა და ა.შ. დოკუმენტით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რიგი მექანიზმების მოქმედება, მათ შორის მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება, სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვა, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და არა აქვს შექმნილი საგანგებო შტაბი. სკოლას არა აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. რესურსცენტრში სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი #MES 5 24 0000857996 13.07.2024წ. - სახანძრო უსაფრთხოებაზე დასკვნის მიღების მიზნით შსს-თან შუამდგომლობის თაობაზე. შენობის მდგრადობის შესახებ სკოლას არა აქვს გაკეთებული მიმართვა.

სკოლას მამიებლის თვითშეფასების განაცხადში არ ჰქონდა მითითებული რომ დაწყებით საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ორ სხვადასხვა ლოკაციაზე, შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში არ არის დაკონკრეტებული, რომ სკოლას ესაჭიროება საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ორ ლოკაციაზე - სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც გაწერა 3.4.1.1. ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, სკოლას დაგეგმილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. აღნიშნული აქტივობების შესრულება სკოლას გათვალისწინებული აქვს 20.09.2024 წლიდან 20.09.2025 წლამდე. კორექტირებული შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შედეგად სკოლამ განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის განხორციელების ახალი ვადები 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

სკოლამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორივე მისამართზე - სოფელი ღურტა და სოფელი იაკობაძეები - უნდა უზრუნველყოს სათანადო დასკვნების მოპოვება ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმების შესახებ, კერძოდ, სახანძროს მიწერილობა, შენობის მდგრადობის დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება) განხორციელება დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

სკოლას თვითშეფასების განაცხადში და არც შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში არ ჰქონდა მითითებული, რომ დაწყებით საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე (სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში), შესაბამისად სკოლას მოსაპოვებელი აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები (სახანძროს მიწერილობა, შენობის მდგრადობის დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა) მეორე მისამართზე სოფელ იაკობაძეების სკოლის შენობაზე. ასევე, სოფელ იაკობაძეების დაწყებით სკოლის შენობას არა აქვს სათანადო ღირებულება და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. ასევე, სოფელ იაკობაძეების დაწყებითი სკოლის შენობას არა აქვს ელექტრომომარაგება.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სოფელ იაკობაძეების მისამართზე:

ა) უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;

- ბ) უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა;
გ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ სოფელ იაკობაძეების მისამართზე ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;

ბ) უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

ასევე სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სოფელ იაკობაძეებში შენობის ირგვლის ღობის უზრუნველყოფა დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2025წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ ცალკე განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი და ეს ფუნქცია გაწეროს შრომითი ხელშეკრულებით ან დირექტორის ბრძანებით. მიზანშეწონილია სკოლამ შემოიღოს მექანიზმი შენობაში მოსწავლეთა და ვიზიტორთა შემოსვლისა და გასვლის პროცესის გაკონტროლებისათვის. შესაძლოა აწარმოოს სპეციალური ჟურნალი და განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი. მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სოფელ ღურტის სკოლის ძირითად შენობაში ფუნქციონირებს დადგენილი სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა (ექთნის შტატი გათვალისწინებულია სკოლის საშტატო განრიგით). საჭიროების შემთხვევაში ექთანი დაუყოვნებლივ უკავშირდება უბნის ექიმს, იღებს სათანადო კონსულტაციას და ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას - ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება და სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბავშვის მომართვის შემთხვევაში მისი გასვლა შენობიდან ხდება ექთნის ჩართულობით და დამრიგებელთან კონსულტაციით. ექთანი ზამთრის სეზონზე ატარებს შეხვედრებს ბავშვებთან ვირუსებთან დაკავშირებით.

სკოლის მოქმედი ექთანი სოფელ იაკობაძეების მკვიდრია, რომელიც 2023 წლიდან არის დასაქმებული სკოლაში და შერჩეულია საკონკურსო წესით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ექთნის პირადი საქმე. ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის

მოთხოვნებს, სკოლაში დასაქმებამდე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია. ექთანი შრომითი ხდელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზეც.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი მოქმედებს 2022 წლიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების - სამედიცინო ოთახის მოწყობის შედეგად. ინფრასტრუქტურის სააგენტომ მიაწოდა სკოლას სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა: კარადა, საკაცე, ტახტი, ინსტრუმენტების თარო, წნევის აპარატი, ფონეიდოსკოპი, ლუპა, ინჰალაციის აპარატი, თერმომეტრი, სიმაღლის საზომი, სასწორი, გამათბობელი, შაქრის საზომი აპარატი, მოტეხილობის დროს დასადები არტახები და სხვა. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის მედიკამენტებით. თუმცა სკოლას არ აწარმოებს მედიკამენტების შესყიდვას და აღრიცხვის ფორმას. ოთახში არის ხელსაბანი, პერიოდულად არის შეფერხება წყლის მოწოდებაში მილების დაზიანების გამო, რა დროსაც წყლის მიწოდება ხდება ეზოში დამონტაჟებული წყლის ავზით.

რაც შეეხება სოფელ იაკობაძეების დაწყებითი სკოლის შენობას, იქ სამედიცინო კაბინეტი არ ფუნქციონირებს.

რჩევა: მიზანშეწონილია სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისას სკოლამ იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტითა და სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის/კაბინეტის ფუნქციონირების წესით. ასევე სასურველია ექთანს ჰქონდეს ლეპტოპი. რომლის საშუალებითაც იგი შეძლებდა მონაცემების ელექტრონული ფორმატით დამუშავებას და შესაბამისი ჟურნალების წარმოებას მინისტრის ბრძანების შესაბამისად..

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სოფელ იაკობაძეების დაწყებითი სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობა.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობა - სოფელ იაკობაძეების დაწყებითი სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობა დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი 2024 წელს. დოკუმენტის მე-5 მუხლით გაწერილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი სკოლაში. კერძოდ, სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა

ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29.01. #06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლაში გათვალისწინებულია მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება**, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვას და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას. დოკუმენტის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სკოლის შინაგანაწესის მონიტორინგს. ასევე მე-7 მუხლით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვის პირობები. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება რეაგირების ღონისძიება კლასის დამრიგებლისა და სკოლის დირექტორის მ/შ მხრიდან.

სკოლას შემუშავებული აქვს **დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2022 წელს სკოლის დირექტორის ბრძანებით**. დებულება დეტალურად განსაზღვრავს კლასის დამრიგებლის მოვალეობებს, მე-9 მუხლით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით და ა.შ. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო წლის განმავლობაში მშობლებთან ისეთი საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში, ძალადობა, ოჯახში ძალადობა და სხვა. **სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი მასალები, თუმცა წარმოადგინა დამრიგებლების ანგარიშები**. აღნიშნული ღონისძიებების ამსახველი პლაკატები არაა გამოკრულია სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მარეგულირებელი ნორმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მე-19 და მე-20 მუხლები არეგულირებს მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს და სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის დარღვევების ჟურნალში და სკოლა თავის მხრივ ახდენს მათზე ადეკვატურ რეაგირებას.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლის ძირითად კორპუსში სოფლე ღურტაში დამონტაჟებულია 4 ვიდეო-კამერა - 2 შიდა და 2 გარე. გარეთა კამერები აკონტროლებს სკოლაში შემოსასვლელს და წინა და უკანა ეზოს. შიდა კამერები დერეფნის თავშია დამონტაჟებული და აკონტროლებს მთელს სასწავლო პერიმეტრს. ჩამწერი მოწყობილობა დირექტორის კაბინეტშია, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია სამართლებრივი დოკუმენტი ვიდეო-

თვალეების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. რაც შეეხება სოფელ იაკობაძეებში მდებარე ხის შენობას, იქ ვიდეო-თვალეები არ არის დამონტაჟებული.

სკოლას სამართლებრივი დოკუმენტით არა ჰყავს განსაზღვრული ვიდეო-თვალეების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. სოფელ იაკობაძეებში (დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობაში) არ არის დამონტაჟებული ვიდეო-სათვალთვალო კამერები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერებზე კონტროლზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ასევე სოფელ იაკობაძეებში (დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობაში) ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონტაჟის უზრუნველყოფა 22.10.2024წ. – 22.10.2025წ.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ ვიდეოსამეთვალყურეო კამერებზე კონტროლზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; სოფელ იაკობაძეებში (დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობაში) ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონტაჟის უზრუნველყოფა 22.10.2024წ. – 22.10.2025წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

რჩევა: სასურველია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს უსაფრთხოების პოლიტიკის მარეგულირებელი წესი სკოლის რეალურ საჭიროებებთან. მაგ. წესის მე-10 მუხლი ითვალისწინებს სკოლის შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების შეგროვებას ვიზიტორთა შესახებ. თუმცა სკოლა ასეთ ჟურნალს ამ ეტაპზე არ აწარმოებს შესაბამისი საჭიროების არარსებობის გამო (სკოლის განმარტებით). **მიზანშეწონილია** ასევე განსაზღვროს ვინ გაუწევს მეთვალყურეობას სკოლის შესასვლელ კარს და უცხო პირთა შემოდივნებას და სკოლამ განსაზღვროს, ვინ იქნება მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე პასუხისმგებელი პირი.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

სკოლა ხელს უწყობს უსაფრთხო ფსიქო-ემოციური გარემოს შექმნას და ატარებს პრევენციული სახის ღონისძიებებს. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს **დამრიგებლის მუშაობის დებულება**, რომელიც დამტკიცებულია 2022 წელს სკოლის დირექტორის ბრძანებით. დებულება

დეტალურად განსაზღვრავს კლასის დამრიგებლის მოვალეობებს, მათ შორის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის საჭირო პირობებს და ღონისძიებებს. განსაზღვრულია სადამრიგებლო საათის ფუნქციონირება და მისი განხორციელების პირობები. ასევე, მე-9 მუხლით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით და ა.შ. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო წლის განმავლობაში მშობლებთან ისეთი საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში, ძალადობა, ოჯახში ძალადობა და სხვა. **თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია მასალები, რომლებიც ასახავდა სკოლის მიერ საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობების ჩატარებას** ისეთ თემებზე, როგორიცაა ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობა. არ ჩანს სკოლაში მოქმედი მექანიზმები და ღონისძიებები როგორ უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას სასკოლო და საკლასო სივრცეებში.

შენობის პირველ სართულზე, ინფორმირების მიზნით მოწყობილია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურეობის სამმართველოს ტელეფონის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი.

რჩევა: სკოლაში რეფერირების სისტემის ფუნქციონირების მიზნით მიზანშეწონილია სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესი და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ აწარმოოს რეფერირების რეესტრი - ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის აღრიცხვის რეესტრი სპეციალური ჟურნალის სახით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილია ტექნიკური პერსონალი (ორი დამლაგებელი), რომლებიც საგაკვეთილო პროცესის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სისტემატიურად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. ასევე სკოლის ექთანი ზედამხედველობას უწევს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების

დაცვას. დამლაგებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც დაწვრილებით გაწერილია მათი ვალდებულებები სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. სანიტარულ-ჰიგიენურ ზედამხედველობას სკოლაში ახორციელებს სკოლის ექთანი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით დავალებული აქვს აღნიშნული ფუნქციის შესრულება.

პერიოდულად ხდება სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა, სკოლას აქვს ეზო და რეკრეაციული ზონა, რომელიც მუდმივად სუფთავდება.

სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შენობის სანიტარული მდგომარეობა და სველი წერტილები, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. სკოლის ძირითადი შენობა სოფელ ღურტაში მარაგდება სასმელი წყლით, თუმცა მიწის დაზიანების შემთხვევაში არის გარკვეული შეფერხებები. რაც შეეხება სოფელ იაკობაძეებში დაწყებითი სკოლის ხის შენობას, მას არა აქვს წყლით მომარაგება, აზიური ტიპის საპირფარეო მოწყობილია შენობის გარეთ ხის ფარდულში.

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #14 07.09.2020წ. „სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ“.

სკოლას სოფელ ღურტაში გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები და წყლის დაწყვეტის შემთხვევაში ალტერნატიული წყარო (სკოლის ეზოში დამონტაჟებული რეზერვუარი), რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის.

სკოლა ვერ უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას - სოფელ იაკობაძეებში დაწყებითი სკოლის ხის შენობას არა აქვს წყლით მომარაგება. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სოფელ იაკობაძეებში დაწყებითი სკოლის ხის შენობის წყლით მომარაგების და შესაბამისად სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ სოფელ იაკობაძეებში დაწყებითი სკოლის ხის შენობის წყლით მომარაგების და შესაბამისად სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების პირად მონაცემების დაცვას. პერსონალური მონაცემების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პირი, რომელსაც შეთავსებული აქვს ეს ფუნქცია. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03/-47 (თარიღი არა აქვს) „სკოლაში ინციდენტების შეტყობინების პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“ (საქმისმწარმოებელი). „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 ტებერვლის #19 ბრძანებით დადგენილი ინციდენტთა დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის იფიცრის დანიშვნამდე შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს (სკოლის საქმისმწარმოებელს) ეკისრება დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხოს ინციდენტის შესახებ ინფორმაცია და შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

რჩევა: მიზანშეწონილია სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნება სკოლის სოციალურ ქსელში მოხდეს მშობლის თანხმობით. ასევე მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (14.06.2023წ.). მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს სკოლაში გამოყოფილი პირის შესახებ და ეს ინფორმაცია იდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე (სკოლას შეტყობინების ვალდებულება აქვს დანიშნიდან/განსაზღვრიდან

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები: დოკუმენტაცია ინახება საგანგებო ოთახში (დირექტორის კაბინეტში) და მასზე კონტროლს ახორციელებს პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), სკოლას არ ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი - საინფორმაციო მენეჯერი. სკოლას გააჩნია ციფრული ტექნოლოგიების განვითარების სამოქმედო გეგმა და მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება მისი ამოქმედება. ამჟამად ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე მხარდაჭერა ევალება სკოლის ისტ-ის მასწავლებელს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს გააჩნია ანტივირუსული პროგრამა. ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებ-გვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
- წერილი რესურსცენტრისადმი #MES 5 24 0000857996 13.07.2024წ. - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მიღების შუამდგომლობის შესახებ
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03/-47 „სკოლაში ინციდენტების შეტყობინების პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“. დანართი #1 - მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
- უსაფრთხოების წესები ისტ-ის კლასში.
- სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #14 07.09.2020წ. „სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას აწარმოებს ორ სხვადასხვა სოფელში - სოფელ ღურტაში, სადაც მოსწავლეთა უმეტესობა სწავლობს და სადაც მოწყობილია ძირითადი სასწავლო ინფრასტრუქტურა. სოფელ ღურტაში მდებარე სკოლის ძირითადი ორსართულიანი კორპუსი აშენებულია 1972 წელს, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარებული აქვს 2012 წელს (შეიცვალა სახურავი, გაკეთდა ფასადი, იატაკი, სველი წერტილები, გათბობის სისტემა). სოფელ ღურტაში ძირითადი კორპუსის გვერდით არის დამხმარე შენობა, რომელიც აშენებულია 1984 წელს და მას მერე არანაირი რეაბილიტაცია არ ჩატარებია. რაც შეეხება სოფელ იაკობაძეებში მდებარე დაწყებითი სკოლას, ის არის ხის ერთსართულიანი ნაგებობა, აშენებულია 2012 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. ხის შენობა სულ 50 კვ.მ-ია და მასში განთავსებულია 2 საკლასო ოთახი, 1 სამასწავლებლო და 1 შესასვლელი ფოიე. სკოლამ წარმოადგინა ორივე შენობის აზომვითი ნახაზი და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დოკუმენტი.

პირველ სართულზე განლაგებულია 6 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის.

მეორე სართულზე - 5 საკლასო ოთახია, სველი წერტილები - არ არის, არც წყალგაყვანილობა არ არის. მე-2 სართულზეა სამედიცინო ოთახი (სადაც შემოყვანილია წყალი პლასტმასის რეზერვუარიდან, რომელიც სკოლის გვერდითა ეზოშია ბორცვზე დამონტაჟებული), დირექციის კაბინეტი, სამასწავლებლო, კომპიუტერული კლასი. ბიბლიოთეკა განთავსებულია დამხმარე კორპუსში,

შენობაში სულ 11 საკლასო ოთახია ორივე სართულზე. სკოლა ამჟამად სწავლობს ერთ ცვლაში. პარალელური კლასები - მხოლოდ 1ა, 2ა და 3ა. ამათგან 1ბ, 2ბ და 3ბ კლასები სწავლობენ მე-2 ხის კორპუსში სხვა სოფელში. 1-3 კლასები კლას-კომპლექტია. მე-4 კლასი ამჟამად არ ფუნქციონირებს. საშუალოდ კლასებში 5-7-ბავშვია. საკლასო ოთახები 20-25 მ²-ია და როგორც წესი იტევს მაქსიმუმ 15-16 მოსწავლეს, ორივე კორპუსში (სოფელ ღურტას და სოფელ იაკობაძეების) ერთ ცვლაში შესაძლებელია 200 მოსწავლის განთავსება, თუ საკლასო ოთახები მოაკლდება და სხვა დანიშნულებით იქნება გამოყენებული, მაშინ საჭირო იქნება 2 ცვლაში სწავლება.

სკოლას განაცხადი შემოტანილი აქვს **200 მოსწავლეზე**. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა **57 მოსწავლე**. ამჟამად სკოლა სწავლობს ერთ ცვლაში, კონტიგენტის მატების ტენდენცია არ არის, პირიქით არის დიდი გადინება ქალაქ ბათუმში.

სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მისი მოწყობა შესაძლებელია რომელიმე საკლასო ოთახში. სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი, შენობაში არ არსებობს შესაბამისი ფართი, რომელიც სპორტული დარბაზის მოსაწყობად შეიძლება გამოდგეს.

სველი წერტილები მოწყობილია მხოლოდ პირველ სართულზე. პედაგოგებისათვის ცალკე იზოლირებული სველი წერტილი შენობაში არ არის, მასწავლებლები სარგებლობენ სველი წერტილით, რომელსაც მოსწავლეებთან საერთო ფოიე აქვს. სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სხსმ მოსწავლე, ერთი სხსმ მოსწავლე, რომელიც სწავლობდა, ბათუმში გადავიდა ოჯახით საცხოვრებლად. ადაპტირებული სველი წერტილი არ არის. კანცელარია და დირექტორის კაბინეტი მოწყობილია ერთ სივრცეში.

სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი 200 მოსწავლის დასაკმაყოფილებლად ერთ ცვლაში სწავლის პირობებში.

სკოლამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის აქტი:

- საკლასო ინვენტარი - მერხები - 200-ზე მეტი სამივე საფეხურისათვის.
- სკამები - 200-ზე მეტი.
- დაფები - 17 ცალი.
- პრინტერი - 4 ცალი (შავ-თეთრი).
- კომპიუტერი და ლეპტოპი - 12 ცალი, მათ შორის 5 პერსონალური კომპიუტერი კომპიუტერულ ლაბორატორიაში.
- პროექტორი - 4 ცალი. ერთი კომპიუტერულ ლაბორატორიაში და სამი მოძრავი საგაკვეთილო პროცესისათვის.

სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი და კეთილმოწყობილი. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი.

სეზონისა და ამინდის შესაბამისად ღონისძიებების მოწყობა შესაძლებელია სპორტული მოედნის სივრცეში.

ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილ შენობას (სოფელ ღურტაში) დაზიანებული აქვს კიბის უჯრედები (კიბის უჯრედის ბეტონი ალაგ-ალაგ ჩამტვრეულია) და არა აქვს კიბის მოაჯირები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილ შენობის (სოფელ ღურტაში) დაზიანებული კიბის უჯრედების, მათ შორის მოაჯირების, განახლების უზრუნველყოფა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ბიბლიოთეკით უსაფრთხოდ სარგებლობის მიზნით.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილ შენობის (სოფელ ღურტაში) დაზიანებული კიბის უჯრედების, მათ შორის მოაჯირების, განახლების უზრუნველყოფა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ბიბლიოთეკით უსაფრთხოდ სარგებლობის მიზნით დათქმულ ვადებში 20.10.2024წ.-22.10.2026წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულის სკოლის დირექტორის ბრძანებით 2023-2024 ს/წლისათვის. დოკუმენტით რეგულირებულია სკოლაში არსებული სასწავლო და სხვა დანიშნულების სივრცეებით სარგებლობის პირობები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის, გარე სპორტული მოედნის, ბიბლიოთეკის. დოკუმენტით მოწესრიგებულია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების შემთხვევები. თუმცა დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული როგორ არის განაწილებული მატერიალური რესურსები სკოლის სივრცეებში.

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა მატერიალური რესურსით საყოველთაო სარგებლობის შესაძლებლობას. ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა სკოლაში არსებული რესურსებზე (სკოლის ეზო, გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები) თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ სკოლას არა აქვს სპორტული და სააქტო დარბაზები, რესურს-ოთხი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ასევე ბიბლიოთეკის სივრცე არ არის გამოსადეგი სამკითხველო დარბაზის ფუნქციით.

რჩევა: მიზანშეწონილია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესით ან სხვა სახის დოკუმენტით კონკრეტულად განისაზღვროს საკლასო და სხვა დანიშნულების ოთახებში განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა და დასახალებები და მათი სარგებლობის პირობები. მიზანშეწონილია წერილობით შემუშავდეს კომპიუტერული ლაბორატორიის და სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენების წესი და განრიგი გაწეროს სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია სკოლის ძირითადი კორპუსის გვერდით დამხმარე კორპუსში. ბიბლიოთეკის კორპუსი არ არის კეთილმოწყობილი, მასთან დამაკავშირებელი კიბეები არ არის უსაფრთხო მოსწავლეებისა და მასწავლებლების გადაადგილებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ასევე მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სკოლის წიგნადი ფონდი, მათ შორის ახალი მხატვრული ლიტერატურა, რაც სკოლას მოპოვებული აქვს სხვადასხვა სახის პროექტის ფარგლებში. ბიბლიოთეკას არა აქვს სამკითხველო დარბაზი არასაკმარისი ფართის გამო, ამიტომ

მკითხველთა მომსახურებას ახორციელებს სახლში გატანით. წიგნებით სარგებლობის წესი და პირობები განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკაში დიდი წიგნადი ფონდია (მხატვრული და შემეცნებითი, ამავე დროს სამეცნიერო წიგნები, თუმცა ძირითადად მოძველებულია). **ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკარი**, რომელიც აწარმოებს მასალების აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად: ბიბლიოთეკარი წიგნების გაცემასა და დაბრუნებას აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში. გაკეთებული აქვს სათანადო კატალოგი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამები, წიგნის თაროები და კარადები, სახელმძღვანელოები, კლასგარეშე და მეთოდური ლიტერატურა). მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია ანბანის მიხედვით; გამოკრულია სამკითხველო სივრცეში ქცევის წესები, წიგნებს აქვს ჯიბაკები, ნომერი და ბეჭედი. ბიბლიოთეკარს წარმოადგინა 2023-2024 ს/წ სამუშაო პროგრამა, რომლიდანაც ჩანს, რომ ბიბლიოთეკარის მონაწილეობით სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის სასწავლო ღონისძიებები. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

რჩევა: მიზანშეწონილია ბიბლიოთეკარმა გაიაროს სათანადო ტრენინგი საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევისა და წიგნადი ფონდის ელექტრონული აღრიცხვიანობის საკითხებზე. აღნიშნული ტრენინგ-კურსი ბიბლიოთეკარს მისცემდა შესაძლებლობას უფრო ეფექტურად გამოიყენოს სკოლაში არსებული საბიბლიოთეკო სივრცე საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს: სკოლას არა აქვს გარეთა პანდუსი, რომლითაც უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლის შემოსვლას შენობაში. მაგრამ სკოლას არა აქვს შიდა პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მისვლას კომპიუტერულ ლაბორატორიამდე. ასევე, სკოლას არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი და შესაბამისი სასწავლო რესურსები. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.

სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს ადაპტირებული სველი წერტილის, რესურს-ოთახისა და პანდუსის არაარსებობის გამო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ორივე მისამართზე - სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ადაპტირებული სველი წერტილის, რესურს-ოთახისა და პანდუსის მოწყობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორივე მისამართზე (სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში).

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ ადაპტირებული სველი წერტილის, რესურს-ოთახისა და პანდუსის მოწყობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორივე მისამართზე (სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში) დათქმულ ვადებში 22.10.2024წ. – 22.10.2026წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კომპიუტერული ტექნიკა გამართულია და მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ტექნიკით როგორც საგაკვეთილო, ისე არასგაკვეთილო პერიოდში პრეზენტაციების მოსამზადებლად, ინფორმაციის მოსაძიებლად და სხვა. დირექტორის განმარტებით, ბუნებისმეტყველებისა და ხელოვნების გაკვეთილები ხშირად ტარდება სკოლის ეზოში, სადაც დგას მაგიდა და სკამები. სპორტული მოედანი გამოყენებულია როგორც საგაკვეთილო დანიშნულებით, ისე სპორტული და სხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩასატარებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკარის მასალა ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.
- ბიბლიოთეკარის სამუშაო პროგრამა
- საინვენტარიზაციო უწყისი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლაში მოქმედებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც მოსწავლეებთან ერთად სარგებლობენ ადმინისტრაციის წევრები, პედაგოგები. კომპიუტერებით უზრუნველყოფილია ადმინისტრაცია, სამასწავლებლო (განთავსებულია ერთი პერსონალური კომპიუტერი), კომპიუტერული ლაბორატორია (განთავსებულია პროექტორი და 6 პერსონალური კომპიუტერი), შენობაში ჩართულია ინტერნეტი და wi-fi. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და სკოლის პერსონელისათვის დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე გაკვეთილების შემდეგ და არასასწავლო დღეებშიც (ოლიმპიადები, სავალდებულო სასკოლო აქტივობები). სკოლაში შექმნილია საზიარო სივრცეები მასწავლებლებისთვის: სამასწავლებლო და კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილი ინტერნეტით და კომპიუტერით. მასწავლებლები სარგებლობენ კომპიუტერული ტექნიკით - სამასწავლებლოში, სადაც გამოყოფილია ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული

ლექტორები. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში შეუძლიათ პროექტორების გამოყენება.

სასკოლო საზოგადოება ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ფეისბუქ-ჯგუფებს, Teams-ის, Zoom-ს, Google, Office 365-ის აპლიკაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად.

დოკუმენტით გათვალისწინებულია შემოსული დოკუმენტაციის გარეგანი შემოწმება, რეგისტრაციაში გატარება, გასული დოკუმენტაციის სახეები და მათი დამუშავება, შიდა მიმოწერა, მმართველობითი ხასიათის დოკუმენტაცია - ბრძანებები (ბრძანებები შინაარსის მიხედვით

იყოფა ორ ჯგუფად: საკადრო ბრძანებები და საერთო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები), კოლეგიური ორგანოს დოკუმენტაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სასკოლო დოკუმენტაციის შექმნის, დამუშავებისა და შენახვის წესი. სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი, თავის მხრივ, შეესაბამება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ №414 ბრძანებულებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. სკოლაში იწარმოება **ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი**, საერთო და საკადრო ბრძანებები არ არის გამიჯნულია ერთმანეთისაგან და აქვს ერთი და იგივე ინდექსი. ამასთან, ბრძანების ნომერი სამნიშნა რიცხვისაგან შედგება. მაგ. ბრძანება #01-03-09 ასეთი ნუმერაციით ტიპიური შემთხვევაა.

სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას **”eflow”-სა და Eschool-ის ბაზებს**. სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები**, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზნშეწონილია სკოლამ გამიჯნოს ერთმანეთისაგან საკადრო და საერთო ბრძანებები, როგორც ეს განსაზღვრული აქვს საქმისწარმოების დებულებაში. ასევე ბრძანებების ნუმერაცია განახორციელოს საკადრო და საერთო ბრძანებების კლასიფიცირების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია სკოლამ აწარმოოს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში ელექტრონული საქმისწარმოებისათვის გამოიყენება eflow, eschool და სკოლის ოფიციალური ელფოსტა ghurta@mes.gov.ge. ელექტრონულად ხდება შემოსული და გასული დოკუმენტების გატარება, ასევე მოხსენებითი ბარათების ატვირთვა, იტვირთება სკოლაში გამოცემული თითოეული ბრძანება. სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია გამართული კომპიუტერთა და პრინტერთ, eSchool ერთიან ბაზაში ასახულია სკოლის მოსწავლეების, მშობლების, პერსონალის მონაცემები, სასწავლო საგნები, საგაკვეთილო განრიგი, სახელმძღვანელოები. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ხდება წერილებისა და სხვადასხვა დოკუმენტების მიღება, მათზე რეაგირება და დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4..არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების დებულება
- დირექტორის მ/შ ბრძანებების ნიმუშები
- .

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა ვიზიტის პერიოდში ახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალური ქსელის FB გვერდის საშუალებით. სკოლის განცხადებით, ვებ-გვერდზე წვდომა სკოლას მიეცა მ/წლის 1 ივლისიდან, თუმცა დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით სკოლამ ტექნიკურად ვერ შეძლო ვებ-გვერდზე მუშაობა და რაიმე სახის დოკუმენტის მიზმა სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზის გამო. სკოლამ წარმოადგინა წერილი საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელზე #MES 3 24 0000698315 19.06.2024წ. რომლითაც სკოლა აცნობებს რომ არა აქვს წვდომა პორტალზე და ითხოვს მიეცეს წვდომა სკოლების პორტალზე, რათა უზრუნველყოს ავტორიზაციისათვის საჭირო დოკუმენტების ატვირთვა ვებ-გვერდზე. თუმცა სკოლის გარკვეული მონაცემები ვებ-გვერდზე ასახულია (შენიშვნების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველკლასელთა ლიმიტები, სკოლის ფოტოსურათი).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისათვის იყენებს Facebook და messenger. სანდო და უტყუარი ინფორმაციების განთავსებას. სკოლის სოციალური ქსელის FB გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების, შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ არის სანდო და უტყუარი. სოციალური ქსელის FB გვერდს ხელმძღვანელობს ისტორიის პედაგოგი. ნებისმიერი ინფორმაცია გამოქვეყნების წინ გადის ფილტრაციას, მოწმდება ფაქტის ობიექტურობა და სანდოობა. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანება #2-72 16.07.2024წ. „სკოლაში ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4.. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი. სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი აქვს ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციების განთავსება. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია გარკვეული ინფორმაცია სკოლის შესახებ ქართულ ენაზე, მაგ. მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ინფორმაცია პირველკლასელთა ლიმიტების შესახებ სოფელ ღურტაში და სოფელ იაკობაძეებში, საკონტაქო ტელეფონის ნომერი და სხვა. ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული სრული ინფორმაციის განთავსება დაგეგმილია 15.11.2024 წლამდე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის მოქმედი ვებ-გვერდი არ შეიცავს ინდიკატორით მოთხოვნილ ინფორმაციას სკოლის შესახებ. კერძოდ, სკოლის ვებ გვერდზე არ არის განთავსებული სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სხვათა შესახებ. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლას გათვალისწინებული აქვს ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება 15.11.2024 წლამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის განხორციელება - ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება დათქმულ ვადებში 15.11.2024წ.

სსიპ- ღურტის საჯარო სკოლის ვებგვერდი:- ghurta@mes.gov.ge

<https://skolebi.emis.ge/schools/666?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება.
-

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად შეადგენს მოსწავლეთა **ვაუჩერული დაფინანსება**, სკოლის ექთნის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი.. 2023-2024 ს/წ სკოლამ ბიუჯეტში დამატებით მიიღო შემოსავალი გრანტის სახით (პროექტის ხელმძღვანელის ხელფასი) - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ფარგლებში. ფინანსური რესურსი მიმართულია სკოლის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, რომელიც წინასწარ დაგეგმილია შესყიდვების გეგმის სახით. **შესყიდვების განკარგვა ხდება საჭიროებების მიხედვით.** კერძოდ, შესყიდვების მომზადებისას სკოლა თვითნებურად განსაზღვრავს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, რომელსაც ადგენს წინა წლის 20 ნოემბრამდე და შესაბამისი ბრძანების თანახმად განათავსებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის ცვლილებაც.

ყოველი კალენდარული წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს დირექტორისაგან წარედგინება მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიში, რომლითაც სამეურვეო საბჭო ახდენს წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის მონიტორინგს.

ამ ანგარიშის გათვალისწინებით ხდება მომდევნო წლის სავარაუდო ბიუჯეტის შემუშავება. ბიუჯეტის პროექტს ადგენს ბუღალტერი დირექტორთან შეთანხმებით და 10 დეკემბრამდე წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. ბიუჯეტის შემუშავებისას პირველ რიგში ყურადღება ექცევა სტრატეგიული პრიორიტეტებით გათვალისწინებულ აქტივობებს და მათთან შესაბამისობას.

მოსწავლეთა მცირერიცხოვნობის მიუხედავად, სკოლა არ არის დეფიციტური, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სხვადასხვა სასწავლო რესურსის შეძენას, საკანცელარიო ნივთებისა და სპორტული ინვენტარის შეძენას, კომუნალურ ხარჯებს.

რჩევა: სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს მიზანშეწონილია დაინტერესებული პირის მხრიდან სამსახურებრივი ბარათით მიმართვა სკოლის დირექტორის სახელზე არსებული საჭიროების დაკმაყოფილების თაობაზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსური რესურსების მართვაში აქტიურად მონაწილეობს სკოლის ბუღალტერი, რომელიც 2006 წლიდან მუშაობს ღურტის სკოლაში, პროფესიით ეკონომისტი. სკოლამ უკვე გაიარა ტრენინგები ფინანსთა სამინისტროში ხაზინაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მიიღო სათანადო კოდები და ანგარიშის ნომრები და 2023 წლის ბოლოდან გადავიდა ხაზინის მომსახურებაზე.

სკოლას გააჩნია შესყიდვების წლიური გეგმა. აღნიშნულ გეგმაში დეტალურად გაწერილია სკოლის საჭიროებები. სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს. პირველ რიგში ხდება აუცილებელი ხარჯების დაფარვა, ხოლო შემდეგ სტრატეგიული პრიორიტეტების რეალიზების ხელშეწყობი აქტივობების დაფინანსება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 13.01.2024წ. რომლის დღის წესრიგი მოიცავს სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას.

სკოლაში დანერგილია ანგარიშგების შემდეგი სისტემა - ბუღალტერი აკეთებს ბიუჯეტის შესრულების ანალიზს ბალანსის დოკუმენტის სახით, სადაც გაშიფრულია სახელფასო და სხვა სახის ხარჯები და ყოველთვიურად დირექტორს აწვდის ინფორმაციას შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა არაერთი ფინანსური სახის დოკუმენტაცია (იხილე მტკიცებულებებში).

რჩევა: მიზანშეწონილია ბუღალტერმა შეიმუშავოს **ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ფორმა**, რომელშიც ასახული იქნება შემოსავლები და გასავლები თვეების მიხედვით, ასევე ნაშთი, რომელსაც დადგენილი პერიოდულობით წარუდგენს სკოლის დირექტორს. ასევე სასურველია ამოქმედდეს სამსახურებრივი ბარათის პრაქტიკაც, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ბუღალტერი წარადგენს დირექტორის სახელზე ან/და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში. ასევე სასურველია სკოლამ ბიუჯეტის ხარჯვა გამოაქვეყნოს თვალსაჩინო ადგილზე,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი 2023წ. და 2024 წ.
- შესყიდვების გეგმა
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ნიმუში.
- ბაზრის კვლევის ნიმუშები
- საინვენტარიზაციო უწყისი 2024წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
- 2023 წლის სკოლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მისი უფლებები დისციპლინური დევნის შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს. რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით გათვალისწინებული აქვს აგრეთვე **მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები**. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებული არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

შინაგანაწესით გათვალისწინებულია უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 20. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები,

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის ქცევის კოდექსის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესებისა თუ სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას - პირველი სართულის ცენტრალურ ფოიეში. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში პირველ მშობელთა კრებაზე აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის იმ მუხლებს, რომლებშიც მითითებულია რეგულაციის წესები. მშობელი ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას.

სკოლას შემუშავებული აქვს **დამრიგებლის მუშაობის დებულება**, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ. დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით **#78 2022წ.** დებულება ითვალისწინებს დამრიგებლის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე სადამრიგებლო საათის პროგრამის პრინციპებს, სადამრიგებლო სასაუბრო თემებს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კლასის დამრიგებლის პროგრამების ნიმუშები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებისათვის, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეებთან სამუშაო მიმართულებები 2023-2024 ს/წ: მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, რასაც ასახავენ მშობელთა კრების ოქმში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, საჯაროა სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირთათვის. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა თვითმმართველობამ, პედსაბჭომ და სამეურვეო საბჭომ. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად, ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე რჩება სკოლაში. ხელშეკრულებაში ასახულია ისეთი მუხლები, რომლებიც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას. შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას - შენობის ცენტრალურ ფოიეში. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება მშობელთა კრებებზე. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა ხდება დაუყონებლივ არაუგვიანეს მომდევნო მშობელთა კრებებზე. მეხუთეკლასელი მოსწავლეების მშობლები კრებაზე იხილავენ მეორე უცხო ენის სწავლების საკითხს და ირჩევენ მე-2 უცხოურ ენას (რუსული ენა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შაბლონი და მისი გამოყენება სკოლის საჭიროებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ამ დოკუმენტის სკოლის კონტექსტზე მორგებისა და შესაბამისი სამართლებრივი ფორმით დამტკიცების შემდეგ.

სკოლა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე რჩება სკოლაში.

რჩევა: მიზანშეწონილია ხელშეკრულებას თან ერთვოდეს მშობლის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი სოციალურ ქსელში შვილის ფოტოს გასაჯაროება - განთავსებასა და სასწავლო შემოქმედებით ექსკურსიებში მონაწილეობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მშობელთა კრების ოქმები
- ხელშეკრულების ნიმუშები მშობელსა და სკოლას შორის

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ვიზიტის დროს ესპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის შესახებ (სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03-58 12.08.2024წ. ბრძანება #01-03-50 19.06.2024წ. ბრძანება #01-03-60 2024წ.) თუმცა სკოლას არა აქვს რაიმე მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი და არც ცალკე სამართლებრივი დოკუმენტის სახით შემუშავებული სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. **სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად**, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სკოლას არა აქვს რაიმე მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი და არც ცალკე სამართლებრივი დოკუმენტის სახით შემუშავებული სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შემუშავება.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შემუშავება დათქმულ ვადებში 11.11.2024წ. – 11.12.2024წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, ისინი დამრიგებლების მხრიდან ინფორმირებულნი არიან სკოლის სხვადასხვა მომსახურების შესახებ სიახლეებით. სკოლაში, მეხუთე კლასიდან, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მეორე უცხო ენა, რაც ზრდის მათ საათობრივ დატვირთვას. სწორედ ამიტომ სკოლა იღებს მშობლისგან თანხმობას.

მშობლების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMs-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. კერძოდ, სკოლაში მოსულ პირს, სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ, მიეწოდება საჭირო ინფორმაცია, სხვადასხვა პროცედურის ფარგლებში, სკოლაში წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის შესახებ. გარდა ამისა, პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის/ჩარიცხვის ვადები, ეტაპები და პროცედურები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს, ასევე, აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის შესახებაც. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას გაწერილი აქვს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები, გამოცდების ტიპები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მშობლებს ეცნობებათ, როგორც მშობელთა კრებაზე, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკვრის გზით.

მოსწავლეთა მშობლებისათვის ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს პირველ სართულზე განთავსებული საინფორმაციო დაფიდან, სკოლის მეილიდან, სკოლის სოციალური ქსელის გვერდიდან, კლასის დამრიგებლების მიერ შექმნილი სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებიდან, პირისპირ შეხვედრებიდან. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის იმ მუხლებს, რომელშიც მითითებულია რეგულაციის წესები, მშობელი შინაგანაწესის გაცნობას ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა აწყობს სასწავლო შედეგებით ექსკურსიებს საკლუბო მუშაობის ფარგლებში, მაგ. 2023-2024 ს/წ ექსკურსია მაჭახელას ეროვნულ პარკში და მოსწავლეებისათვის სერტიფიკატების გადაცემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებები საშუალო საფეხურის დაძლევისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03-58 12.08.2024წ. ბრძანება #01-03-50 19.06.2024წ. ბრძანება #01-03-60 2024წ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სკოლას არ აქვს რაიმე სახის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი და არა აქვს შემუშავებული/დამტკიცებული სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილი იქნება მოსწავლის (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლა ახალი მოსწავლის კლასში ადაპტაციისათვის ახორციელებს მთელ რიგ აქტივობებს: პირველკლასელთა მიღება საზეიმო ვითარებაში, სასკოლო გარემოს დათვალიერება და სხვადასხვა სივრცეების ფუნქციური დანიშნულების გაცნობა, საკლასო გარემოს შესაბამისად საზეიმოდ მოწყობა სათანადო გაწყობის შესაქმნელად, სასკოლო წესების გაცნობა, მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში კლასის დამრიგებლების ზრუნვა და ახალი მოსწავლის მხარდამჭერი აქტივობები, მის შესახებ ინფორმაციების მოგროვება და სხვა.

სკოლას არა აქვს წერილობითი დოკუმენტის სახით შემუშავებული სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება, კერძოდ სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი. დათქმულ ვადებში 11.11.2024წ. – 11.12.2024წ.

ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული და შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის იყენებს საკონსულტაციო სისტემას, ასევე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას, დიფერენცირებული სწავლების აქტივობებს.

მოსწავლეები და მათი მშობლები სემესტრული და წლიური შეფასების შესახებ ინფორმაციას იღებენ **ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით**. მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის მიზნით სკოლაში შემუშავებულია საწრეო და საკლუბო მუშაობები, ასევე მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო ოლიმპიადებზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 ს.წ. სკოლის ეკო-კლუბის სამოქმედო გეგმა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია საწრეო მუშაობა სხვადასხვა საგანში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელები დროულად აწვდიან ინფორმაციას სემესტრული ნიშნის ამალეების შესაძლებლობის თაობაზე. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განაცხადის შემთხვევაში სკოლა

უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას. სსსმ მოსწავლეებთან მიმართებით, უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მოძიებას და სასწავლო პროცესში ჩართვას. ქმნის ისე ჯგუფს, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. კონკურსებისა და ოლიმპიადებისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ ბავშვებს და ეხმარებიან ცოდნის გამყარებაში. სკოლა ასევე ახორციელებს მოსწავლეთა პროფესიული მზარდაჭერის აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის მიერ ხორციელდება აქტივობები და საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა მიდრეკილებების გამოვლენას. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია და ფუნქციონირებს: ეკოკლუბი, რომელიც მონაწილეობს ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში. ჩართულია ტყეებისა და წყლის დაცვის, კლიმატის დაცვის დღეების აღნიშვნაში, ახორციელებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამას. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა/მოსწავლეთა ჯგუფის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთარი მოსაზრებების მიწოდებას სკოლის ადმინისტრაციისათვის და ჩართვას ინიციატივების განხილვის პროცესში. ასევე სკოლის ვალდებულებებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას საწრეო მუშაობის სახით ყველა ძირითად საგანში (ქართული ენა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკა და ქიმია). სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა საწრეო მუშაობის მასალები. მაგ. გეოგრაფიის წრის სხდომის ოქმები, საწრეო მუშაობის გეგმა სხვადასხვა კლასებში, ბიოლოგიის წრის სამუშაო გეგმა, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი და სხვა. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის დეტალურად გაწერილი საწრეო მუშაობის მიზნები, მოსწავლეთა სამიზნე ჯგუფები (მითითებულია ყველა კლასი პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, რაც დაზუსტებას საჭიროებს).

რჩევა: მიზანშეწონილია სასკოლო სასწავლო გეგმით დაკონკრეტდეს საწრეო მუშაობის პრინციპები და მიზნები, წრეების მუშაობის რეგულაციები, სამიზნე ჯგუფები და მისაღწევი შედეგები. ასევე სასურველია სასკოლო კლუბს ჰქონდეს თავისი წესდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა დაინტერესებულია და ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) წინადადებებს, სურვილებს, ინტერესებს, საჭიროებებს სხვადასხვა მომსახურების გაწევისას. ამისთვის ატარებს შეხვედრებს, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად ზეპირი გამოკითხვის გზით, რათა დაადგინოს, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. ამ დრომდე ძირითადად სკოლა იყენებდა ზეპირი გამოკითხვის ფორმას, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება წერილობითი კითხვარების შედგენა, სპეციალური ელექტრონული ფორმების მომზადება, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს გამოკითხვის შედეგები. კითხვარების ანალიზი კი სკოლას დაეხმარება სამომავლო გეგმების დასახვაში, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში, სხვადასხვა მომსახურების დახვეწა/გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 ს/წ
- საწრეო მუშაობის მასალები (გეოგრაფიის, ბიოლოგიის)
- ეკო-კლუბის სამუშაო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

